

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	26
5. გადაანგარიშება	28
6. რეკლასიფიკაცია	28
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29
8. კლიენტებზე გაცემული სესხები	29
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	32
10. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	33
11. გუდვილი	34
12. სხვა არამატერიალური აქტივები	34
13. გადასახადები	35
14. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	37
15. სხვა აქტივები და ვალდებულებები	38
16. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	39
17. ვალდებულებები კლიენტების წინაშე	40
18. სუბორდინირებული ვალი	41
19. კაპიტალი	41
20. პირობითი ვალდებულებები	42
21. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	42
22. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	42
23. სხვა საოპერაციო ხარჯები	43
24. რისკის მართვა	43
25. სამართლიანი ღირებულების შეფასება	51
26. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა	53
27. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი	54
28. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	55
29. კაპიტალის ადეკვატურობა	56
30. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები	58

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კორ სტანდარტ ბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩავატარეთ სს „კორ სტანდარტ ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2015 წლის 31 დეკემბრის თარიღით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებებისგან, სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარმოდგენაზე. აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავვებოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია ჩვენს განსჯაზე, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის სისტემა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის, რათა დაგვემოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს აუდიტირებული საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სს „კორ სტანდარტ ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მათი ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

21 ივნისი, 2016 წ.

თბილისი, საქართველო

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	2015	2014 <i>(გადაანგარიშებული)</i>	2013
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	81,889	71,865	47,167
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები				
საქართველოს ეროვნულ ბანკში		44,052	31,222	28,673
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	436,584	301,670	252,888
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:				
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	9	24,141	46,180	40,191
- სესხები და მისაღები ანგარიშები	9	9,808	-	-
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	10	16,096	12,640	13,695
გუდვილი	11	20,374	20,374	20,374
სხვა არამატერიალური აქტივები	12	5,013	5,542	6,462
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი		209	209	209
სხვა ფინანსური აქტივები	14	674	993	6,716
სხვა აქტივები	15	19,965	5,382	5,765
სულ აქტივები		658,805	496,077	422,140
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	16	62,270	35,388	20,683
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	17	450,768	339,969	296,478
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	13	597	332	605
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	6,220	5,242	2,837
სხვა ვალდებულებები	15	348	92	80
სუბორდინირებული ვალი	18	36,012	28,020	8,737
სულ ვალდებულებები		556,215	409,043	329,420
კაპიტალი	19			
საწესდებო კაპიტალი		111,000	99,516	99,516
აკუმულირებული ზარალი		(8,410)	(12,482)	(6,796)
სულ კაპიტალი		102,590	87,034	92,720
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		658,805	496,077	422,140

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ბანკის სახელით 2016 წლის 21 ივნისს:

თეა ლორთქიფანიძე

გენერალური დირექტორი

მაია კახეთელიძე

მთავარი ბუღალტერი

5-57 გვერდებზე დართული ნაწილია.

ული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<i>2015</i>	<i>2014 (გადაანგარიშებული)</i>
საპროცენტო შემოსავალი		57,619	47,039
საპროცენტო ხარჯი		(30,116)	(23,195)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	21	27,503	23,844
სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯი	8	(8,492)	(15,041)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდგომ		19,011	8,803
წმინდა საკომისიო შემოსავალი	22	2,313	2,391
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		1,697	1,865
სხვა შემოსავალი		774	401
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		2,231	(107)
სხვა არასაპროცენტო შემოსავალი		7,015	4,550
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(10,257)	(9,061)
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 12	(3,452)	(3,165)
სხვა ანარიცხები		(169)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(7,811)	(7,086)
სხვა არასაპროცენტო ხარჯები		(21,689)	(19,312)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		4,337	(5,959)
მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	13	(265)	273
წმინდა მოგება		4,072	(5,686)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,072	(5,686)

5-57 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<i>სააქციო კაპიტალი</i>	<i>აკუმულირებული ზარალი</i>	<i>სულ საკუთარი კაპიტალი</i>
31 დეკემბერი, 2013 წ.		99,516	(6,796)	92,720
წლის სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)		–	(5,686)	(5,686)
31 დეკემბერი, 2014 წ.		99,516	(12,482)	87,034
სააქციო კაპიტალის გამოშვება		11,484	–	11,484
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		–	4,072	4,072
31 დეკემბერი, 2015 წ.		111,000	(8,410)	102,590

5-57 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	2015	2014
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		58,927	46,414
გადახდილი პროცენტი		(32,569)	(22,711)
მიღებული საკომისიო		4,761	3,956
გადახდილი საკომისიო		(2,403)	(2,490)
რელიზებული შემოსულობა უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან და უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებიდან, შემცირებული ზარალით		2,454	1,865
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		254	16
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(9,974)	(9,008)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯი		(6,532)	(5,199)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		14,918	12,843
წმინდა კლება/(ზრდა) საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებზე კლიენტებზე გაცემული სესხების (ზრდა) (ზრდა)/კლება სხვა ფინანსურ აქტივებში (ზრდა)/კლება სხვა აქტივებში		(5,327)	204
საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებების ზრდა		(122,370)	(40,202)
კლიენტების წინაშე ვალდებულებების ზრდა		678	(507)
ზრდა/(კლება) სხვა ფინანსურ აქტივებში		830	1,865
საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებების ზრდა		8,357	13,672
კლიენტების წინაშე ვალდებულებების ზრდა		93,047	20,549
ზრდა/(კლება) სხვა ფინანსურ ვალდებულებებში		(3,510)	2,232
ზრდა სხვა ვალდებულებებში		98	12
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		(13,279)	10,668
მოგების გადახდილი გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(13,279)	10,668
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(9,799)	(41,954)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		22,420	36,340
შენიშვნა-ნაგებობებისა და მოწყობილობების შესყიდვა		(4,539)	(758)
შენიშვნა-ნაგებობების და მოწყობილობების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი		1	48
სხვა არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(1,356)	(725)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		6,727	(7,049)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან		-	18,636
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი		11,484	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		11,484	18,636
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		5,092	2,443
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		10,024	24,698
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	7	71,865	47,167
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	7	81,889	71,865

2015 წელს ბანკმა არაფულადი ოპერაციებით დაისაკუთრა უიმედო მსესხებლების 16,550 ლარის (2014 წ.: 1,555 ლარი) აქტივები (მე-15 შენიშვნა).

5-57 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) 2008 წლის 6 მარტს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“; საქართველოს ცენტრალური ბანკი) მიერ 2008 წლის 25 თებერვალს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის 18 ფილიალი მოქმედებს საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2014 წ.: 18). ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის მოედანი #3.

ბანკი იღებს ანაზღაურებას მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში.

2015, 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს შემდეგი აქციონერები ჰყავდა:

აქციონერი	%
შეიხ ნაჰაიან მახარაკ ალ ნაჰაიან	45%
შეიხ ჰამდან ბინ ზაიედ ალ ნეჰაიან	20%
შეიხ მოჰამედ ბუტტი ალ ჰამედ	15%
შეიხ მანსოორ ბინ სულთან ალ ნეჰაიან	15%
შპს „ინვესტმენტ ტრედიინგ გრუპი“	5%
სულ	100%

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

სს „კორ სტანდარტ ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთობლივად „ბანკი“) წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომში „ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2015, 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგ შვილობილ კომპანიას მოიცავს:

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	ბანკის წილი, %		დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი
		2014	2013		
შპს „სტანდარტ დაზღვევა“	საქართველო	100%	100%	29 სექტემბერი, 2007 წ.	6 მარტი, 2008 წ.

შვილობილი კომპანია 2015, 2014 და 2013 წლებში საქმიანობას არ ეწეოდა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

წლის განმავლობაში ბანკი იყენებდა თავის სააღრიცხვო პოლიტიკას და მიიღო შემდეგი ფასს-ის ცვლილებები და ფაისკ-ის ახალი ინტერპრეტაციები. ამ ცვლილებების ძირითადი გავლენა ასეთია:

ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში „დადგენილ გადასახდელიანი პროგრამა: თანამშრომელთა შენატანები“

ბასს 19 მოითხოვს საწარმოსგან, რომ დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის აღრიცხვისას გაითვალისწინოს თანამშრომლებისა და მესამე პირების შენატანები. როდესაც შენატანები დაკავშირებულია მომსახურებასთან, ისინი უნდა მიეკუთვნოს მომსახურების გაწევის პერიოდს, როგორც უარყოფითი სარგებელი. ეს ცვლილებები განმარტავს, რომ თუ შენატანების რაოდენობა არ არის დამოკიდებული მომსახურების გაწევის წლების რაოდენობაზე, საწარმოს აქვს უფლება, რომ ასეთი შენატანები აღიაროს, როგორც მომსახურების ღირებულების შემცირება, იმ პერიოდში, როდესაც გაიწია ეს მომსახურება, იმის ნაცვლად, რომ გადაანაწილოს შენატანები მომსახურების მიწოდების პერიოდებზე. ბანკი არ იყენებს დადგენილ გადასახდელიანი პროგრამას, ამიტომ ეს ცვლილება მისთვის აქტუალური არ არის.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2010-2012 წ.წ. ციკლი

გაუმჯობესებები ძალაშია 2014 წლის 1 ივლისიდან და ბანკმა ეს ცვლილებები პირველად გამოიყენა ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. მათ შორისაა:

ფასს (IFRS) 2 „წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა“

ეს გაუმჯობესება გამოიყენება პერსპექტიულად და განმარტავს სხვადასხვა საკითხებს საქმიანობისა და მომსახურების პირობების განსაზღვრებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს უფლების გადაცემის პირობებს, მათ შორისაა შემდეგი პირობები:

- ▶ საქმიანობის პირობა უნდა მოიცავდეს მომსახურების პირობას;
- ▶ საქმიანობის მიზანი უნდა იყოს შესრულებული კონტრაგენტის მიერ მომსახურების განხორციელებისას;
- ▶ საქმიანობის მიზანი შეიძლება დაკავშირებული იყოს ოპერაციებთან ან საწარმოს საქმიანობასთან ან იმავე ჯგუფის სხვა სამეურნეო ერთეულის საქმიანობასთან;
- ▶ საქმიანობის პირობა შეიძლება მოიცავდეს საბაზრო ან არასაბაზრო პირობას;
- ▶ თუ კონტრაგენტი რამე მიზეზით წყვეტს მომსახურების მიწოდებას უფლების გადაცემის პერიოდში, მომსახურების პირობა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

ბანკი არ იყენებს წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდას, ამიტომ ეს ცვლილება მისთვის აქტუალური არ არის.

ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“

ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად და განმარტავს, რომ ყველა პირობითი ანაზღაურება, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც საწარმოთა გაერთიანებიდან გამომდინარე ვალდებულება (ან აქტივი) შემდგომში სამართლიანი ღირებულებით უნდა იქნას შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ისინი ფასს 9-ს (ან ბასს 39-ს). ბანკს საწარმოთა გაერთიანება არ აქვს, ამიტომ ეს ცვლილება მისთვის აქტუალური არ არის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2010-2012 წ.წ. ციკლი (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 8 „საოპერაციო სეგმენტები“

ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად (უკუქცევითი ძალით) და განმარტავს იმას, რომ:

- ▶ საწარმო ვალდებულია, გააცხადოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები ფასს 8-ის მე-12 მუხლში მითითებულ აგრეგირების კრიტერიუმთან დაკავშირებით, სადაც წარმოადგენს აგრეგირებული საოპერაციო სეგმენტების მოკლე აღწერასა და აქტივების ეკონომიკურ მახასიათებლებს (მაგ. გაყიდვები და საერთო მარჟები), რომელთა მიხედვითაც ფასდება სეგმენტების „მსგავსება“;
- ▶ სეგმენტის აქტივებისა და მთლიანი აქტივების შეჯგურების გაცხადება აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეჯგურება უნდა წარედგინოს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირს, სეგმენტის ვალდებულებების სავალდებულო განმარტებითი შენიშვნების ანალოგიურად.

აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ჰქონია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამიტომ ის ბანკისთვის აქტუალური არ არის.

ფასს (IFRS) 13 „მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება“ – ფასს 13-ის ცვლილება

ფასს 13-ის გაუმჯობესება „დასკვნის საფუძველში“ განმარტავს, რომ დაუდგენელი საპროცენტო განაკვეთის მქონე მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შეფასება შეიძლება ინვოისის თანხების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა. ეს შეესაბამება ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკას და ამიტომ აღნიშნული ცვლილება არ ახდენს გავლენას ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ბასს (IAS) 16 („ძირითადი საშუალებები“ და ბასს (IAS) 38 „არამატერიალური აქტივები“

ცვლილება რეტროსპექტულად გამოიყენება და განმარტავს ბასს 16-სა და ბასს 38-ში, რომ აქტივი შეიძლება გადაფასდეს საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით მთლიანი ან წმინდა საბალანსო ღირებულებით. ამასთან, დაგროვილი ცვეთა ან ამორტიზაცია წარმოადგენს სხვაობას აქტივის მთლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის. მიმდინარე პერიოდში ბანკს არ გადაუფასებია ძირითადი საშუალებები ან არამატერიალური აქტივები. შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ჰქონია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“

ცვლილება რეტროსპექტულად გამოიყენება და განმარტავს, რომ მმართველი სამეურნეო სუბიექტი (ანუ სამეურნეო სუბიექტი, რომელიც უმადლესი რგოლის ხელმძღვანელობით ამარაგებს საწარმოს) არის დაკავშირებული მხარე და ამიტომ მასზე უნდა გავრცელდეს დაკავშირებული მხარის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნა. გარდა ამისა, საწარმო, რომელიც გამოიყენებს მმართველი სამეურნეო სუბიექტის მომსახურებას, ვალდებულია წარმოადგინოს მართვის მომსახურების ხარჯის განმარტებითი შენიშვნები. ბანკისთვის ეს ცვლილება არ არის აქტუალური, რადგან იგი არ იღებს სხვა სამეურნეო სუბიექტებისგან მართვის მომსახურებას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2011-2013 წ.წ. ციკლი

გაუმჯობესებები ძალაშია 2014 წლის 1 ივლისიდან და ბანკმა ეს ცვლილებები პირველად გამოიყენა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში. მათ შორისაა:

ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“

ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად და მათი მიზანია, ფასს 3-ის ფარგლებში არსებული გამონაკლისებისთვის დააზუსტონ, რომ:

- ▶ არა მხოლოდ ერთობლივი საწარმოები, არამედ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ყველა საქმიანობა, სცდება ფასს 3-ის მოქმედების ფარგლებს;
- ▶ ეს გამონაკლისი გამოიყენება მხოლოდ თავად ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფინანსური ანგარიშების ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

ბანკი არ წარმოადგენს ერთობლივ გარიგებას, ამიტომ ეს ცვლილება მისთვის აქტუალური არ არის.

ფასს (IFRS) 13 „სამართლიანი ღირებულებით შეფასება“

ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად და განმარტავს, რომ ფასს 13-ით გათვალისწინებული პორტფელის გამონაკლისი შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე, არამედ სხვა კონტრაქტებზეც ფასს 9-ის (ან, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ბასს 39-ის) ფარგლებში. ბანკი არ იყენებს ფასს 13-ით გათვალისწინებულ პორტფელის გამონაკლისის პირობას.

ბასს (IAS) 40 „საინვესტიციო ქონება“

დამხმარე მომსახურებების აღწერა, რომელიც ბასს 40-შია მოცემული, განასხვავებს საინვესტიციო ქონებასა და მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებას (ანუ ძირითად საშუალებებს). ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად და მათი მიზანია განმარტონ, რომ იმის დასადგენად, თუ რას წარმოადგენდა კონკრეტული ტრანსაქცია, აქტივის შეძენას თუ საწარმოთა გაერთიანებას, გამოიყენება ფასს 3 და არა ბასს 40-ში მოცემული დამხმარე მომსახურებების აღწერა. წინა პერიოდებში ბანკი ეყრდნობოდა ფასს 3-ს, და არა ბასს 40-ს, რომ განესაზღვრა, აქტივს იძენდა, თუ ბიზნესს. ამიტომ ეს ცვლილება არ ახდენს გავლენას ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ეფექტური ფასს-ების მნიშვნელობა – ცვლილებები ფასს (IFRS) 1-ში

ცვლილება „დასკვნის საფუძველში“ განმარტავს, რომ საწარმოს შეუძლია გააკეთოს არჩევანი და გამოიყენოს ან არსებული სტანდარტი, ან ახალი სტანდარტი, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, მაგრამ მისი წინასწარ გამოყენება ნებადართულია, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია, რომ ეს სტანდარტი უწყვეტად იყოს გამოყენებული საწარმოს მიერ ფასს-ის მიხედვით მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საანგარიშო პერიოდებისთვის. ფასს 1-ში შესული ეს ცვლილება არ არის აქტუალური ბანკისთვის, რადგან ეს უკანასკნელი უკვე იყენებს ფასს-ს.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლისთანავე აპირებს. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები.

ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. აუცილებელია რეტროსპექტულად გამოყენება, მაგრამ შესაძარისი ინფორმაცია არ არის სავალდებულო. ფასს 9-ის (2009, 2010 და 2013 წლების) წინა ვერსიების გამოყენება დასაშვებია, თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღი წინ უსწრებს 2015 წლის 1 თებერვალს. ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს ბანკის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ბანკის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. ბანკი მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე, გაუფასურებასთან დაკავშირებით ფასს 9-ის მოთხოვნების შემოღების გამო, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად მას დასჭირდება დამატებითი დეტალური ანალიზის ჩატარება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან ახალ მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლებისთვის. „ბასს 17-ის „იჯარა“ მოქმედების ფარგლებში მოქცეული საიჯარო ხელშეკრულებებიდან, ფასს 4-ის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ მოქმედების ფარგლებში მოქცეული სადაზღვევო კონტრაქტებიდან და ბასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ (ან ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“, თუ ადრე იქნა მიღებული) მოქმედების ფარგლებში მოქცეული სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისა და საკონტრაქტო უფლებებისგან მიღებული შემოსავლები, არ ხდება ფასს 15-ის მოქმედების ფარგლებში და მათი აღრიცხვა ხდება შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ფასს 15-ის პრინციპები შემოსავლების შეფასებისა და აღიარების უფრო სისტემატურ მიდგომას გვთავაზობს.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ვრცელდება ყველა საწარმოზე და ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული ან ნაწილობრივ შეცვლილი რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ბანკი ამჟამად აფასებს ფასს 15-ის გავლენას და აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის.

ფასს (IFRS) „გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები“

ფასს 14 არის ნებაყოფლობით გამოსაყენებელი სტანდარტი, რომელიც საწარმოს, რომლის საქმიანობაზეც ვრცელდება ტარიფების რეგულირება, საშუალებას აძლევს, გააგრძელოს არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის მეტი წილის გამოყენება გადავადების მარეგულირებელი ანგარიშების ნაშთებისთვის, ფასს-ის პირველად გამოყენებისას. საწარმოებმა, რომლებიც გამოიყენებენ ფასს 14-ს, გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად უნდა წარმოადგინონ და ასახონ ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთების მოძრაობა ცალკე მუხლად მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში. სტანდარტით სავალდებულოა საწარმოს ტარიფების რეგულირების ხასიათისა და მასთან დაკავშირებული რისკების, ასევე მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ტარიფების რეგულირების გავლენის გაცხადება. ფასს 14 მოქმედებს 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან ბანკი ანგარიშგებას არსებული ფასს-ის მიხედვით ამზადებს, ეს სტანდარტი მასზე არ ვრცელდება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

2016 წლის იანვარში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ფასს 16 მოითხოვს, რომ მოიჯარეებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად აღრიცხება ფინანსური იჯარა ბასს 17-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ბალანსზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 თვალისწინებს. ბანკი ამჟამად აფასებს ფასს 16-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები“

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები“. ცვლილებები აზუსტებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივების აღრიცხვის წესს და ასევე აზუსტებს აუღიარებელი ზარალის შემთხვევაში გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარების წესს, მრავალფეროვანი პრაქტიკის არსებობის გამო. კომპანიებმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენონ 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ბანკზე.

ცვლილებები ფასს (IFRS) 11-ში „ერთობლივი საქმიანობა: წილების შეძენის აღრიცხვა“

ფასს 11-ში შეტანილი ცვლილებები მოითხოვს ერთობლივი ოპერატორისგან, რომელიც აწარმოებს ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში შეძენილი წილების აღრიცხვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ერთობლივი ოპერაცია წარმოადგენს ბიზნესაქტივობას, გამოიყენოს ფასს 3-ის შესაბამისი პრინციპები, განკუთვნილი საწარმოთა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვისთვის. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ ერთობლივი საქმიანობაში წარსულში არსებული წილი არ ექვემდებარება გადაფასებას, იმავე ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში დამატებითი წილის შესყიდვისას, როდესაც ხდება ერთობლივი კონტროლის შენარჩუნება. ამასთანავე, ფასს 11-ს დაემატა გამოწვევები, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ეს ცვლილებები არ გამოიყენება, როდესაც მხარეები, რომლებიც ინაწილებენ ერთობლივი კონტროლს, მათ შორის ანგარიშგებელი ერთეული, ექვემდებარებიან ერთი და იმავე საბოლოო მაკონტროლებელი მხარის საერთო კონტროლს.

ცვლილებები ეხება როგორც პირველადი წილის შესყიდვას საერთო ოპერაციაში, ისე ნებისმიერი დამატებითი წილის შესყიდვას იმავე საერთო ოპერაციაში და გამოიყენება პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ბანკზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 16-სა და ბასს (IAS) 38-ში: ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვის მისაღები მეთოდების დაზუსტება

ცვლილებები განმარტავს ბასს 16-ისა და ბასს 38-ის პრინციპს, რომ ამონაგები ასახავს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება ბიზნესაქტივობიდან (რისი ნაწილიც არის აქტივი) და არა იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება აქტივის გამოყენების შედეგად. შედეგად, შეუძლებელია შემოსავლების მეთოდის გამოყენება ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დასარიცხად. ცვლილებები ძალაში შედის პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ იქონიებს ბანკზე, რადგან იგი არ იყენებს შემოსავლების მეთოდს თავის გრძელვადიან აქტივებზე ცვეთის დარიცხვისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში და ბასს (IAS) 41-ში „სოფლის მეურნეობა: სამრეწველო მცენარეები“

ცვლილებები მოქმედებს იმ ბიოლოგიური აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესზე, რომლებიც შეესაბამება „სამრეწველო მცენარის“ განმარტებას. ცვლილების თანახმად, ბიოლოგიური აქტივები, რომლებიც შეესაბამება „სამრეწველო მცენარის“ განმარტებას, აღარ დაექვემდებარება ბასს 41-ის მოქმედების ფარგლებს. ამის ნაცვლად, ისინი დაექვემდებარება ბასს 16-ს. პირველადი აღიარების შემდეგ, სამრეწველო მცენარეების შეფასება მოხდება ბასს 16-ის მიხედვით, დაგროვილი ღირებულებით (სიმწიფემდე), ღირებულების ან გადაფასების (სიმწიფის შემდეგ) მოდელის გამოყენებით. ცვლილებები ასევე მოითხოვს, რომ პროდუქტი, რომელიც იზრდება სამრეწველო მცენარეებზე, დარჩეს ბასს 41-ის მოქმედების ფარგლებში და შეფასდეს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. სამრეწველო მცენარეებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტებისთვის, გამოყენებული უნდა იქნეს ბასს 20 „სამთავრობო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“. ცვლილებები რეტროსპექტულად (უკუქცევითი ძალით) შედის ძალაში 2016 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ბანკზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 27-ში „კაპიტალ-მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში“

ცვლილებები საწარმოებს საშუალებას მისცემს, გამოიყენონ კაპიტალ-მეთოდი, რათა ბუღალტრულად აღრიცხონ შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ჩადებული ინვესტიციები, თავიანთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებში. საწარმოებმა, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს-ს და სურთ, რომ გადავიდნენ კაპიტალ-მეთოდზე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, უნდა შეიტანონ ეს ცვლილება რეტროსპექტულად (უკუქცევითი ძალით). საწარმოებს, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს და სურთ, რომ გადავიდნენ კაპიტალ-მეთოდზე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამ მეთოდის გამოყენება მოეთხოვებათ ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ბანკზე.

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“

ცვლილება ეხება ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის არსებულ აღიარებულ შეუსაბამობას მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსთვის გადაცემულ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვასთან მიმართებით. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, ინვესტორი აღიარებს მოგებას ან ზარალს აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდობასთან დაკავშირებით, რაც, ფასს 3-ის თანახმად, წარმოადგენს ბიზნესს ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის. ეს ცვლილებები განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ცვლილებები ბასს 1-ში „ინფორმაციის გახსნის ინიციატივა“

ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“ ცვლილებები ბასს 1-ის არსებულ მოთხოვნებს განმარტავს და არ შეაქვს მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ ბასს 1-ის არსებითობის მოთხოვნებს;
- ▶ რომ გარკვეული მუხლები მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეიძლება ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი;
- ▶ რომ საწარმოებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, რა თანმიმდევრობით წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს;
- ▶ რომ მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების სხვა სრული შემოსავლის წილი, რომელიც აღიარდება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით, აგრეგირებული სახით, ერთ მუხლში იყოს წარმოდგენილი, და იმ მუხლებს შორის გადანაწილდეს, რომლებიც შემდგომ რეკლასიფიცირდება ან არ რეკლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

გარდა ამისა, ცვლილებები განმარტავს მოთხოვნებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც წარმოდგენილია დამატებითი ქვეჯამები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში. ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ბანკზე.

ცვლილებები ფასს 10-ში, ფასს 12-სა და ბასს 28-ში „საინვესტიციო საწარმოები: კონსოლიდირებიდან გამონაკლისის დაშვება“

ეს ცვლილებები ეხება იმ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ფასს 10-ის მიხედვით საინვესტიციო საწარმოსთვის გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით. ფასს 10-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ გამონაკლისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესიდან ვრცელდება ისეთ მშობელ კომპანიაზე, რომელიც არის საინვესტიციო საწარმოს შვილობილი კომპანია მაშინ, როცა საინვესტიციო საწარმო თავის ყველა შვილობილ კომპანიას სამართლიანი ღირებულებით აფასებს.

ამასთან, ფასს 10-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ მხოლოდ იმ საინვესტიციო საწარმოს შვილობილი კომპანიის კონსოლიდირება უნდა მოხდეს, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო საწარმო და უწევს მხარდაჭერის მომსახურებას საინვესტიციო საწარმოს. საინვესტიციო საწარმოს ყველა დანარჩენი შვილობილი კომპანია სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ბასს 28-ში შესული ცვლილებები ინვესტორს საშუალებას აძლევს, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას შეინარჩუნოს სამართლიანი ღირებულებით შეფასება, რომელიც გამოიყენა საინვესტიციო საწარმოს მეკავშირე ან ერთობლივმა საწარმომ შვილობილ კომპანიებში თავისი წილების მიმართ. ეს ცვლილებები რეტროსპექტულად (უკუქცევითი ძალით) გამოიყენება და ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ბანკზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2012-2014 წ.წ. ციკლი

ეს გაუმჯობესებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და, სავარაუდოდ, არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ბანკზე. მათ შორისაა:

ფასს (IFRS) 5 „გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – გასხვისების მეთოდების ცვლილებები

აქტივების (ან მათი ჯგუფების) გასხვისება ძირითადად ხდება მათი გაყიდვით, ან მფლობელებისთვის განაწილებით. ფასს 5-ის ცვლილებები განმარტავს, რომ გასხვისების ერთი მეთოდიდან მეორეზე გადასვლა, არ უნდა იქნეს მიჩნეული გასხვისების ახალ გეგმად, არამედ უნდა ჩაითვალოს არსებული გეგმის გაგრძელებად. მაშასადამე, ფასს 5-ის მოთხოვნების გამოყენება ხდება უწყვეტად. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ გასხვისების მეთოდის შეცვლა არ ცვლის კლასიფიცირების თარიღს. ცვლილება გამიზნულია სამომავლოდ და უნდა იქნეს გამოყენებული მეთოდების ცვლილებებისთვის, რომლებიც განხორციელდება 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ საანგარიშო პერიოდში. სტანდარტის წინასწარი გამოყენება და დანერგვა ნებადართულია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2012-2014 წ.წ. ციკლი (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 7: „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ – მომსახურების კონტრაქტები

ფასს 7 საწარმოებისგან მოითხოვს განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას გადაცემულ აქტივში ნებისმიერი მონაწილეობის შენარჩუნების შესახებ, რომელიც სრულად არის ჩამოწერილი ბალანსიდან. მმართველ საბჭოს მიმართ, რათა დაეზუსტებინა წარმოდგენა თუ არა მომსახურების კონტრაქტები „მონაწილეობის შენარჩუნებას“, მომავალში განმარტებითი შენიშვნების საჭიროების განსაზღვრის მიზნით. ცვლილება განმარტავს, რომ მომსახურების კონტრაქტი, რომელიც შეიცავს გასამრჯელოს, შეიძლება წარმოდგენდეს ფინანსურ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნებას. საწარმომ უნდა შეაფასოს გასამრჯელოს და კონტრაქტის ხასიათი „მონაწილეობის შენარჩუნების“ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, რომლებიც მოცემულია ფასს 7.30 და ფასს 7.42 მუხლებში, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. სტანდარტის წინასწარი გამოყენება და დანერგვა ნებადართულია. ცვლილების გამოყენებისას, მომსახურების კონტრაქტების შეფასება, „მონაწილეობის შენარჩუნების“ დადგენის მიზნით, უნდა მოხდეს უკუქცევითი ძალის პრინციპის გათვალისწინებით. ამის მიუხედავად, განმარტებითი შენიშვნები არ არის სავალდებულო ნებისმიერი პერიოდისთვის, რომელიც წინ უსწრებს ცვლილებების პირველად გამოყენების წლიურ პერიოდს.

ფასს (IFRS) 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ – ურთიერთჩათვლის შესახებ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის გამოყენებადობა შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშებში

2011 წლის დეკემბერში ფასს 7-ში შევიდა ცვლილებები, რომლებითაც მას დაემატა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლის სახელმძღვანელო პრინციპები. თავში, რომელიც ეხება დამატების ძალაში შესვლის თარიღსა და ცვლილებაზე გადასვლას, წერია, რომ „ორგანიზაციამ ცვლილებების გამოყენება უნდა დაიწყოს 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშო პერიოდისთვის და მათი შუალედური პერიოდებისთვის. თუმცა, შუალედური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების სტანდარტი - ბასს (IAS) 34 ამ მოთხოვნას არ ასახავს და გაურკვეველია, აუცილებელია თუ არა ასეთი ინფორმაციის გაცხადება შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშებში.

ცვლილებამ ტექსტიდან ამოიღო ფრაზა „და მათი შუალედური პერიოდებისთვის“, რითაც ნათელი გახდა, რომ ფასს 7-ში მოცემული განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გამოყენება არ არის სავალდებულო შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშებში. ცვლილებები რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით) შედის ძალაში, 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო პერიოდისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება.

ბასს (IAS) 19 „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ – დისკონტირების განაკვეთთან დაკავშირებული რეგიონული ბაზრის საკითხი

ცვლილება განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის სიღრმის შეფასება ხდება ვალუტის მიხედვით, რომელშიც არის ვალდებულება გამოხატული და არა იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ვალდებულება მდებარეობს. როდესაც არ არსებობს მაღალი ხარისხის კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის სიღრმე ასეთ ვალუტაში, უნდა მოხდეს სახელმწიფო ობლიგაციების განაკვეთების გამოყენება.

ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2012-2014 წ.წ. ციკლი (გაგრძელება)

ბასს (IAS) 34 „შუალედური ფინანსური ანგარიშგება – ინფორმაციის გაცხადება შუალედური ფინანსური ანგარიშის დანარჩენ ნაწილში“

ცვლილება განმარტავს, რომ ინფორმაცია, რომლის გაცხადება აუცილებელია შუალედურ ანგარიშებში, უნდა გაცხადდეს ან პირდაპირ შუალედურ ფინანსურ ანგარიშებში ან უნდა ჩაირთოს, ჯვარედინი მითითებების გზით, შუალედურ ფინანსურ ანგარიშებსა და უფრო დიდ შუალედურ ანგარიშებს შორის (მაგ. ხელმძღვანელობის კომენტარები ან რისკების ანგარიში). ხელმძღვანელობამ დააზუსტა, რომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშში მოცემული სხვა ინფორმაცია, იმავე პირობებით და იმავე დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის, როგორც არის ხელმისაწვდომი შუალედური ფინანსური ანგარიშები. თუ სხვა ინფორმაცია მომხმარებლებისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი ზემოხსენებული პირობებისა და ვადების დაცვით, შუალედური ფინანსური ანგარიში ჩაითვლება არასრულად. ცვლილებები რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით) შედის ძალაში, 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო პერიოდისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები, ანუ საწარმოები, რომლებიც ჯგუფის მიერ კონტროლდება, კონსოლიდირებულია. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგება/გარიგებები;
- ▶ სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად მიიჩნევა ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და მათ აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის უფლების შეწყვეტისას. ჯგუფის შიდა ტრანსაქციები, ნაშთები და არარეალიზებული შემოსულობა ამ ტრანსაქციებიდან, ასევე ზარალი ამ ტრანსაქციებიდან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის მიზნით სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ბალანსის დეფიციტს იწვევს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, ის ჩამოწმებს შვილობილ კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას, კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს; ასახავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას და მოგებაში და ზარალში დეფიციტს ან მეტობას, ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, რაც უწინ აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელმწიფო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბრის, 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 2.3949, 1.8636 და 1.7363 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორცაა სავაჭრო და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და არაფინანსური აქტივები (მაგალითად, საინვესტიციო ქონება) აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება „მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების“ კატეგორიას. გასაყიდად არსებულის კატეგორიას ფინანსური აქტივები იმ შემთხვევაში მიეკუთვნება, თუ ისინი შესყიდულია უახლოეს მომავალში გაყიდვის მიზნით. გასაყიდად არსებულის კატეგორიას მიეკუთვნება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიც, თუ არ არის გამიზნული მათი გამოყენება ჰეჯირების ინსტრუმენტების სახით. გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებზე ყოველგვარი მოგება და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვის გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, თუ ბანკს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ვადამდე ფლობილი ინვესტიციები შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით აისახება. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ინვესტიციების გაუფასურების შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკის სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების, მეანბრეების წინაშე და სუბორდინირებულ ვალს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში მოგება და ზარალი აღირიცხება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთა მიმართებამაც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივ მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ბანკი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიანი ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს.
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიანი ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რელიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ კომპანიის და ყველა კონტრაგენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ბანკი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა აღრიცხული. ჯგუფი ცალკე მნიშვნელობის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ცალკე მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღიარდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი ერთიანად შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ბანკისთვის არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალში ხდება ჩამოწერის აღდგენა, აღნიშნული კრედიტდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე. მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში ზარალის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისათვის ბანკი ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

თუ მომდევნო წელს სავარაუდო გაუფასურების ზარალი მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება მიმდინარე მოგებაში ან ზარალში.

რესტრუქტურული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურირებას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

რესტრუქტურირების ბუღალტრული აღრიცხვა შემდეგნაირად ხორციელდება:

- ▶ თუ სესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი სესხის აღიარების შეწყვეტა და ახალი სესხის აღიარება.
- ▶ თუ სესხის რესტრუქტურირება არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიმძნელებს, ბანკი იმავე მიდგომას მიმართავს, როგორც - ზემოთ აღწერილი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში.
- ▶ თუ სესხის რესტრუქტურირება უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიმძნელებს და სესხი გაუფასურებულია რესტრუქტურირების შემდეგ, ბანკი აღიარებს სხვაობას ახალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებასა (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) და საბალანსო ღირებულებას შორის რესტრუქტურირებამდე, როგორც მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯს. იმ შემთხვევაში, თუ სესხი არ არის გაუფასურებული რესტრუქტურირების შემდეგ, ბანკი ადგენს ახალ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობებზე ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს რესტრუქტურირებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ან მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ბანკს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები შექმნილია ფასდება თვითღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, სხვა ფინანსურ აქტივებში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ბანკის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

საკრედიტო ვალდებულებები

ბანკი გასცემს კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, მათ შორის აკრედიტივებსა და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გადახდების განხორციელების შეუზღუდავ რწმუნებას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულების დაფარვას მესამე პირებისადმი. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორისაც - სესხები. სესხთან დაკავშირებული ფინანსური გარანტიები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ეს თანხა ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის განმავლობაში, იმ სესხების გაცემის ვალდებულებების გარდა, თუ სავარაუდოა, რომ ბანკი კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში; ასეთი სესხის საკომისიო თანხები გადავადებულია და შეტანილია სესხის საბალანსო ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები ფასდება, (ა) თავდაპირველი აღიარებისას გამოანგარიშებული თანხის დარჩენილ არამორტიზებულ ნაშთსა და (ბ) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დაფარვისთვის საჭირო ხარჯის ყველაზე მიახლოებულ შეფასებას შორის უდიდესით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების უტილიზირება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღრიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომლებიც განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები (გაგრძელება)

მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ნაწილების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	<i>სასარგებლო გამოყენების საშუალო ვადა (წლებში)</i>
შენობა-ნაგებობები	25
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	5-15
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ბანკი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

გუდვილი

გუდვილი არის ნამეტი შესყიდვის ხარჯსა და შესყიდვის თარიღისთვის შესყიდული შვილობილი ან მეკავშირე საწარმოს ამოცნობად აქტივებში, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებში შემსყიდველი საწარმოს წილის სამართლიან ღირებულებას შორის. შვილობილი კომპანიების შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე. მეკავშირე საწარმოების შეძენის შედეგად წარმოქმნილი გუდვილი აღირიცხება მეკავშირე საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებში. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბანკი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ბანკი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღმატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შიგნით ისეთი ოპერაციის შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს შეწყვეტილი ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებასაც, და ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილების საფუძველზე.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც გუდვილი უკავშირდება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები, გუდვილის გარდა

ბანკის არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით სამწლიანი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების, ან ლიცენზიის სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში.

საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოშობილი კლიენტებთან ურთიერთობის ღირებულება ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით კლიენტთან ურთიერთობის მოსალოდნელ ათწლიან ვადაზე.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებლებია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები და გამოსყიდვის უფლების არმქონე პრივილეგირებული აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები.

ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი თუ მიღებული ყველა საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს, გადავადდება საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის სახით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ საწარმოს მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანსაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. ბანკის მიერ მიღებული თანხები სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთში გასაცემად, არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ბანკი გააფორმებს კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში. ბანკი არ აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებს, როგორც მოგებასა და ზარალში ასახულ და სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

როდესაც სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების ამოღება სათუო ხდება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი შემდეგ აღიარდება დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმებისთვის აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, რომლის გამოყენებითაც მოხდა გაუფასურების ზარალის შეფასება.

ყველა დანარჩენი საკომისიო და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი ჩვეულებრივ აღიარდება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ტრანსაქციის დასრულების მითითებით, რომელიც ფასდება რეალურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ბანკი მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

სესხების გაუფასურების რეზერვი

ბანკის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის კოლექტიურად შეფასდა 440,535 ლარის მთლიანი სასესხო პორტფელი და 11,309 ლარის (2014 წ.: 4,119 ლარი) დანაკარგების რეზერვი შეიქმნა მის დასაფარად, რაც წარმოადგენს 2.57%-ის დანაკარგებს კოლექტიურად შეფასებულ სასესხო პორტფელზე (მე-8 შენიშვნა). საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ბოლო 3 წლის ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. კოლექტიურად შეფასებულ სასესხო პორტფელზე რეალური დანაკარგები შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შექმნილი რეზერვის თანხისგან.

ზარალის დადგომის შემთხვევის განსაზღვრა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შეფასებაზე. ბანკი ყოველწლიურად აფასებს მის მიერ ზარალის დადგომის შემთხვევის განსაზღვრას და შეაქვს ცვლილებები საჭიროებისამებრ, რათა ასახოს მსესხებელთა რეალური ქცევა, რომელიც საბოლოო ჯამში ბანკისთვის ზარალს განაპირობებს. ბანკის არსებული პოლიტიკით ზარალის დადგომის შემთხვევა ძირითადად განისაზღვრება მსესხებლის მიერ სესხის დაფარვით. კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში, რომლებისთვისაც, ბანკის შეფასებით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზარალის დადგომის შემთხვევა არსებობს, ბანკი ინდივიდუალურად აფასებს შესაძლო დანაკარგების რეზერვს, როგორც სხვაობას სესხის საბალანსო ღირებულებასა და მასზე სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

ასეთი სესხებისთვის ბანკი იყენებს იმ დაშვებას, რომ სამომავლო ფულადი ნაკადი წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფის საგნის და მოსალოდნელი სამომავლო დაფარვების ღირებულებას. ხელმძღვანელობა რეგულარულად ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა სამართლიან ღირებულებას არსებული საბაზრო პირობების მიხედვით აკორექტირებს, რისთვისაც იგი გამოცდილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ან დამოუკიდებელი ექსპერტის აზრს ეყრდნობა. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 47,740 ლარის (2014 წ.: 42,820 ლარი და 2013 წ.: 14,885 ლარი) მთლიანი სასესხო პორტფელი განისაზღვრა ინდივიდუალურად გაუფასურებულად და შეიქმნა 14,797 ლარის (2014 წ.: 18,789 ლარი და 2013 წ.: 6,928 ლარი) შესაძლო დანაკარგების რეზერვი (მე-8 შენიშვნა).

2015 წელს ბანკმა შეცვალა ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმები. ასევე, უზრუნველყოფის საგნის ღირებულების გარდა, ინდივიდუალურად შეფასებულ სესხებზე სამომავლო ფულადი ნაკადების გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა მოსალოდნელი სამომავლო დაფარვები. გარდა ამისა, ბანკმა შეცვალა მიდგომა სესხებზე კოლექტიური შესაძლო დანაკარგების შეფასების მიმართ და მოახდინა განსხვავებული საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე გარკვეული პორტფელების გამოჯენა, ხოლო ისტორიული ზარალის პერიოდი 5 წლიდან 3 წლამდე შეამცირა, რის შედეგადაც 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 4,110 ლარის სესხის გაუფასურების რეზერვი ამობრუნდა.

2016 წლის მაისში დამოუკიდებელი გარე შემფასებლების მიერ საექვო თაღლითური ქმედების გამო (30-ე შენიშვნა) გარკვეული სალომბარდო სესხების უზრუნველყოფის საგნის გადაფასების შედეგად გამოავლინა ბანკის პოლიტიკისა და საკრედიტო ლიმიტების დარღვევით სესხების გაცემის შემთხვევები. თაღლითობის შედეგად, სალომბარდო ოპერაციებთან დაკავშირებული ზარალი, ხელმძღვანელობის შეფასებით, შეადგენს 11,656 ლარს, რომელიც გადანაწილდა 2014 და 2015 წლებზე, შესაბამისად, 7,186 ლარისა და 4,470 ლარის ოდენობით. ბანკმა ზარალი გადანაწილა წლებზე მის მიერ ამ ზარალის დადგომის პერიოდების შეფასების საფუძველზე, რის შედეგადაც მანამდე გამოშვებული ფინანსური ინფორმაციის გადანგარიშება მოხდა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება საგადასახადო ზარალთან მიმართებაში ხდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ იარსებებს სამომავლო დასაბეგრი მოგება, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება ზარალის გამოყენება. იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება უნდა მოხდეს, საჭიროა შეფასება მომავალი დასაბეგრი მოგებისა, ვადიანობისა და დონის მიხედვით, მომავალ საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგიებთან ერთად.

გუდვილის გაუფასურება და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განსაზღვრა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი გუდვილი მთლიანად სს „კორის“ მიერ 2008 წელს სს „სტანდარტ ბანკის“ შესყიდვას უკავშირდება. სს „კორი“ შეიქმნა, როგორც კომერციული ბანკი სს „სტანდარტ ბანკის“ შესყიდვის მიზნით და ბიზნესგაერთიანებამდე არავითარი საქმიანობით არ ყოფილა დაკავებული. ფასს-ის მოთხოვნით, ბანკმა გუდვილის გაუფასურება უნდა დაადგინოს ყოველწლიურად, ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისთვის. გუდვილის გაუფასურების დადგენა ხელმძღვანელობისგან გარკვეული მოსაზრებების გამოთქმასა და შეფასებების გაკეთებას მოთხოვს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ბანკი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთი ერთეულისგან შედგება და ამიტომ არსებულ გუდვილს მთლიანად ანაწილებს ბანკის საქმიანობაზე, მისი გაუფასურების ტესტირებისას. ხელმძღვანელობის აზრით ეს მიდგომა სწორია, რადგან ბიზნეს გაერთიანებამდე სს „კორს“ არ ჰქონია საკუთარი არსებითი ოპერაციები და ბიზნესგაერთიანების შემდეგ ბანკს არ დაუმატებია საქმიანობის ახალი მიმართულებები, რაც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ცალკე ერთეული იქნებოდა.

გუდვილის გაუფასურების დადგენისას გაკეთებული მნიშვნელოვანი შეფასებები და გაცხადებული ციფრების მგრძობელობა წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

5. გადაანგარიშება

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ხელმძღვანელობამ დაადგინა თანამშრომლის თაღლითობასთან დაკავშირებული სალომბარდო სესხების ოპერაციები. ბანკმა დააკორექტირა თაღლითობის შემთხვევით გამოწვეული შეცდომა, წარმოადგინა წინა პერიოდის შედარებადი თანხების გადაანგარიშებით, რომელშიც, ხელმძღვანელობის აზრით, დადგა ზარალის შემთხვევა.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგი გადაანგარიშები და გადატანები აისახა:

<i>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</i>	<i>კორექტირებამდე (2014)</i>	<i>გადაანგარიშება (2014)</i>	<i>დაკორექტირებული (2014)</i>	<i>შენიშვნა</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები	308,856	(7,186)	301,670	ა
აკუმულირებული ზარალი	(6,374)	(6,108)	(12,482)	ა, ბ
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(1,410)	1,078	(332)	ბ

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება შემდეგნაირად გადაანგარიშდა:

<i>სრული შემოსავლის ანგარიშგება</i>	<i>კორექტირებამდე (2014)</i>	<i>გადაანგარიშება (2014)</i>	<i>დაკორექტირებული (2014)</i>	<i>შენიშვნა</i>
სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯი	7,855	7,186	15,041	ა
მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	805	(1,078)	(273)	ბ
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	422	(6,108)	(5,686)	ა, ბ

ა) ბანკმა განსაზღვრა თაღლითობა, რომელმაც იმოქმედა სალომბარდო სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის გაანგარიშებაზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯი უკავშირდება ინდივიდუალურად გაუფასურებულ სალომბარდო სესხებს, რომლებიც ადრე კოლექტიურად შეფასდა და მათთვის ნულოვანი რეზერვი შეიქმნა. თაღლითობა გამოვლინდა საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში და წარმოადგენს წინა პერიოდის მაკორექტირებელ მოვლენას. ამის შედეგად, სესხის გაუფასურების რეზერვი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაიზარდა 7,186 ათასი ლარით, რამაც კლიენტებზე გაცემული სესხების წმინდა ნაშთი ამავე თანხით შეამცირა. შესაბამისი ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯში აისახა.

ბ) ზემოაღნიშნული გადაანგარიშების შედეგად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,078 ათასი ლარით შემცირდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ბანკის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ამასთან, გადაანგარიშების შედეგად, ბანკმა 1,078 ლარით შეამცირა მოგების გადასახადის დანარიცხი 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

6. რეკლასიფიკაცია

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გარკვეული რეკლასიფიკირება მოხდა 2015 წლის 31 დეკემბრის წარდგენასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მიმდინარე წლის წარდგენა უკეთესად ასახავს ბანკის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, უფრო თანხვედრაშია საბაზრო პრაქტიკასთან და აუმჯობესებს სხვა ფინანსური დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებთან შესადარებლობას. რეკლასიფიკაციას გავლენა არ მოუხდენია 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

6. რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

	<i>კორექტი- რებებამდე</i>	<i>რეკლასი- ფიკაციის თანხა</i>	<i>რეკლასი- ფიკაციის შემდეგ</i>	<i>აღწერა</i>
	<i>2014</i>	<i>2014</i>	<i>2014</i>	
სხვა საოპერაციო ხარჯები	6,117	969	7,086	ბანკის მიერ მესამე მხარეებისგან შესყიდულ გარკვეული მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების რეკლასიფიკაცია, რომელიც უკავშირდება ბანკის ოპერაციებს, მაგრამ პირდაპირ არ უკავშირდება გამომუშავებულ საკომისიო შემოსავალს.
წმინდა საკომისიო შემოსავალი	1,422	969	2,391	

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<i>2015</i>	<i>2014</i>
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	30,596	23,242
ფულადი ნაშთები სებ-ში (მინიმალური სავალდებულო რეზერვის გარდა)	19,314	37,752
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	31,979	5,870
90 დღემდე ვადის მქონე დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში	-	5,001
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81,889	71,865

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 30,624 ლარი (2014 წ.: 5,257 ლარი) იყო განთავსებული მიმდინარე და ვადიან დეპოზიტებზე ევთოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ბანკებში, რომლებიც მონაწილე მხარეებად გამოდიან ბანკის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გადახდებში.

8. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<i>2015</i>	<i>2014 (გადაანგა- რიშებული)</i>	<i>2013</i>
სალომბარდო სესხები	173,598	149,271	108,582
კორპორატიული სესხები	124,348	74,082	73,151
სამომხმარებლო სესხები	75,526	64,428	44,353
იპოთეკური სესხები	40,273	19,770	19,458
ინდივიდუალურ მეწარმეებზე გაცემული სესხები	48,945	17,027	16,400
კლიენტებზე გაცემული სესხები, მთლიანი	462,690	324,578	261,944
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(26,106)	(22,908)	(9,056)
კლიენტებზე გაცემული სესხები	436,584	301,670	252,888

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

	კორპორა- ტიული სესხები 2015	სამომხმ- არებლო სესხები 2015	ინდივი- დუალური მეწარმეები 2015 წ.	იპოთეკური სესხები 2015	სალომზარდო სესხები 2015 წ.	სულ 2015 წ.
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7,245	4,310	3,037	1,130	7,186	22,908
დარიცხვა წლის განმავლობაში	2,273	677	(33)	1,105	4,470	8,492
აღდგენები	12	301	25	-	-	338
ჩამოწერილი თანხები	(3,246)	(1,715)	(346)	(325)	-	(5,632)
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,284	3,573	2,683	1,910	11,656	26,106
ინდივიდუალური გაუფასურება	2,544	123	463	11	11,656	14,797
კოლექტიური გაუფასურება	3,740	3,450	2,220	1,899	-	11,309
	6,284	3,573	2,683	1,910	11,656	26,106
გაუფასურებულად ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	15,052	123	552	214	31,799	47,740
					სალომზარდო სესხები 2014 (გადაანგა- რიშებული)	სულ 2014 (გადაანგა- რიშებული)
2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,081	3,378	900	697	-	9,056
დარიცხვა წლის განმავლობაში	3,209	1,873	2,335	438	7,186	15,041
აღდგენები	3	116	31	-	-	150
ჩამოწერილი თანხები	(48)	(1,057)	(229)	(5)	-	(1,339)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,245	4,310	3,037	1,130	7,186	22,908
ინდივიდუალური გაუფასურება	5,813	3,067	2,149	574	7,186	18,789
კოლექტიური გაუფასურება	1,432	1,243	888	556	-	4,119
	7,245	4,310	3,037	1,130	7,186	22,908
გაუფასურებულად ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	14,281	3,462	3,291	1,529	20,257	42,820

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

	კორპორა- ტიული სესხები 2013	სამომხმ- არებლო სესხები 2013	ინდივი- დუალური მეწარმეები 2013	იპოთეკური სესხები 2013	სალომზარდო სესხები 2013	სულ 2013
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,812	4,717	1,210	864	–	12,603
(აღდგენა) წლის განმავლობაში აღდგენები	(152)	(1,359)	(216)	(166)	–	(1,893)
ჩამოწერილი თანხები	117	37	–	–	–	154
	(1,696)	(17)	(94)	(1)	–	(1,808)
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,081	3,378	900	697	–	9,056
ინდივიდუალური გაუფასურება	3,144	2,856	514	414	–	6,928
კოლექტიური გაუფასურება	937	522	386	283	–	2,128
	4,081	3,378	900	697	–	9,056
გაუფასურებულად ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	9,278	3,176	1,037	1,394	–	14,885

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ▶ სალომზარდო სესხების შემთხვევაში - ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები, და ძვირფასი სამკაულები;
- ▶ კომერციული სესხების შემთხვევაში – უძრავი ქონება, მოძრავი ქონება და სასაქონლო-მატერიალური მარაგები;
- ▶ საცალო სესხების შემთხვევაში - უძრავი ქონება, ავტომანქანები და სხვა მოძრავი ქონება.

ბანკი ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებისგან მათი შვილობილ კომპანიებისთვის გაცემული სესხებისთვის.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თავლყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხების კონცენტრაცია ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე შეადგენდა 93,590 ლარს (მთლიანი სასესხო პორტფელის 19.17%-ს) (2014 წ.: 90,736 ლარი ანუ 27.95%, 2013 წ.: 84,583 ლარი, ანუ 32.29%). აღნიშნული სესხებისათვის 3,529 ლარის (2014 წ.: 1,187 ლარი, 2013 წ.: 549 ლარი) ოდენობის რეზერვი შეიქმნა.

კლიენტებზე გაცემული სესხები კლიენტების ტიპების მიხედვით:

	2015	2014	2013
კერძო საწარმოები	304,333	229,265	182,294
ფიზიკური პირები	158,357	95,313	79,650
	462,690	324,578	261,944

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია (გაგრძელება)

საქართველოში გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით:

	2015		2014		2013	
	თანხა	%	თანხა	%	თანხა	%
სალომბარდო სესხები	173,598	37.52	149,271	45.99	108,582	41.45
ფიზიკური პირები	158,357	34.23	95,313	29.37	79,650	30.41
ვაჭრობისა და მომსახურების სექტორი	59,975	12.96	30,095	9.27	27,011	10.31
მშენებლობის სექტორი	18,738	4.05	16,817	5.18	11,862	4.53
ენერჯისექტორი	17,719	3.83	1,829	0.56	827	0.32
ჯანმრთელობის დაზღვევა	13,474	2.91	8,558	2.64	5,796	2.21
ფინანსური დაწესებულებები	9,518	2.06	3,872	1.19	1,555	0.59
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების გადამამუშავება	9,310	2.01	17,338	5.34	24,170	9.23
სხვა სექტორი	2,001	0.43	1,485	0.46	2,491	0.95
	462,690	100.00	324,578	100.00	261,944	100.00

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	2015	2014
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	24,141	35,341
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	–	6,945
სადეპოზიტო სერთიფიკატები სებ-ში	–	3,894
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები	24,141	46,180

სესხები და მისაღები ანგარიშები მოიცავს შემდეგს:

	2015	2014
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	9,808	–

ყველა ფასიანი ქაღალდი გამოხატულია ლარში და მათი სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი და ვადა ასეთია:

	31 დეკემბერი, 2015 წ.		31 დეკემბერი, 2014 წ.	
	საშუალო, %	დაფარვის ვადა	საშუალო, %	დაფარვის ვადა
სადეპოზიტო სერთიფიკატები სებ-ში	–	–	4.24	2015
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	–	–	6.32	2015
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	8.86	2016-2020	6.96	2015-2019

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

10. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების დინამიკა ასეთი იყო:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საოფისე და კომპიუ- ტერული აღჭურ- ვილობა	ავტოსატ- რანსპორტო საშუა- ლებები	ავეჯი და სხვა ძირითადი საშუა- ლებები	საიჯარო გაუმჯო- ბესებები	სულ
თვითღირებულება							
31 დეკემბერი, 2014 წ.	32	12,364	3,572	686	5,519	2,843	25,016
შემოსვლები	-	1,310	2,410	62	699	58	4,539
გასვლები	-	-	(3)	(72)	(28)	(76)	(179)
გადაცემები	-	3	-	-	(16)	12	(1)
დასაკუთრებული აქტივებიდან გადატანა	417	136	-	-	-	-	553
31 დეკემბერი, 2015 წ.	449	13,813	5,979	676	6,174	2,837	29,928
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2014 წ.	-	2,030	2,942	525	4,815	2,064	12,376
ცვეთის დანარიცხი	-	559	327	69	360	261	1,576
გასვლები	-	-	(1)	(72)	(16)	(31)	(120)
31 დეკემბერი, 2015 წ.	-	2,589	3,268	522	5,159	2,294	13,832
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2014 წ.	32	10,334	630	161	704	779	12,640
31 დეკემბერი, 2015 წ.	449	11,224	2,711	154	1,015	543	16,096
თვითღირებულება							
31 დეკემბერი, 2013 წ.	32	11,862	3,476	720	5,580	3,799	25,469
შემოსვლები	-	25	97	-	532	105	759
გასვლები	-	(18)	(1)	(34)	-	(1,159)	(1,212)
გადაცემები	-	495	-	-	(593)	98	-
31 დეკემბერი, 2014 წ.	32	12,364	3,572	686	5,519	2,843	25,016
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2013 წ.	-	1,536	2,693	459	4,433	2,653	11,774
ცვეთის დანარიცხი	-	497	250	73	382	327	1,529
გასვლები	-	(3)	(1)	(7)	-	(916)	(927)
31 დეკემბერი, 2014 წ.	-	2,030	2,942	525	4,815	2,064	12,376
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2013 წ.	32	10,326	783	261	1,147	1,146	13,695
31 დეკემბერი, 2014 წ.	32	10,334	630	161	704	779	12,640

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი, მაგრამ მაინც ექსპლუატაციაში მყოფი შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მთლიანი საბალანსო ღირებულება 9,529 ლარს (2014 წ.: 7,396 ლარს) შეადგენდა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

11. გუდვილი

გუდვილის გაუფასურების შემოწმება

როგორც მე-4 შენიშვნაში ითქვა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ბანკი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც 2008 წლის ბიზნესგაერთიანების შედეგად არის შექმნილი.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. გამოთვლაში გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზი, რომელიც ემყარება ხელმძღვანელობის მიერ ერთწლიანი პერიოდისთვის დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტს და კორექტირდება გაურკვევლობების მიხედვით, რომელთა გათვალისწინებაც ბიუჯეტირების პროცესშივე ხდება. აღნიშნული ფულადი ნაკადები გამოიყენება საბოლოო თანხის სახითაც და გაცხადებულია, როგორც უვადო ანუიტიტი, რომელზეც ვრცელდება 5%-იანი გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რაც ტოლია საქართველოს მშპ-ის გრძელვადიანი პროგნოზირებული ზრდის ტემპისა.

დისკონტირების განაკვეთები წარმოადგენს გადასახადების გადახდამდე საპროცენტო განაკვეთს და ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი შეადგენს წლიურ 7.2%-ს. (2014 წ.: 7.1%).

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დისკონტირების განაკვეთი, რომლითაც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება უტოლდება გუდვილის საბალანსო ღირებულებას, 12.8%-ია (2014 წ.: 7.4%).

12. სხვა არამატერიალური აქტივები

სხვა არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>კლიენტებთან ურთიერთობა</i>	<i>პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება			
31 დეკემბერი, 2014 წ.	13,657	3,112	16,769
შემოსვლები	-	1,356	1,356
გასვლები	-	(22)	(22)
31 დეკემბერი, 2015 წ.	<u>13,657</u>	<u>4,446</u>	<u>18,103</u>
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი, 2014 წ.	9,320	1,907	11,227
ამორტიზაციის დანარიცხი	1,366	510	1,876
გასვლების ამორტიზაცია	-	(13)	(13)
31 დეკემბერი, 2015 წ.	<u>10,686</u>	<u>2,404</u>	<u>13,090</u>
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2014 წ.	<u>4,337</u>	<u>1,205</u>	<u>5,542</u>
31 დეკემბერი, 2015 წ.	<u>2,971</u>	<u>2,042</u>	<u>5,013</u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას ლარში)

12. სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

	<i>კლიენტებთან ურთიერთობა</i>	<i>პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება			
31 დეკემბერი, 2013 წ.	13,657	2,396	16,053
შემოსვლები	–	716	716
31 დეკემბერი, 2014 წ.	13,657	3,112	16,769
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი, 2013 წ.	7,954	1,637	9,591
ამორტიზაციის დანარიცხი	1,366	270	1,636
31 დეკემბერი, 2014 წ.	9,320	1,907	11,227
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2013 წ.	5,703	759	6,462
31 დეკემბერი, 2014 წ.	4,337	1,205	5,542

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზებული, მაგრამ ჯერაც ექსპლუატაციაში მყოფი არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება იყო 1,650 ლარი (2014 წ.: 1,530 ლარი).

13. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	<i>2015</i>	<i>2014 (გადაანგა- რიშებული)</i>	<i>2013</i>
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	–	–	–
გადავადებული გადასახადის დანარიცხი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და აღდგენა	(265)	273	(966)
მოგების გადასახადის ხარჯი	(265)	273	(966)

ბანკის 2015 წლის მოგება იზერება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. (2014 წ.: 15% და 2013 წ.: 15%). მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

13. გადასახადები (გაგრძელება)

	<i>2015</i>	<i>2014</i> <i>(გადაანგარიშებული)</i>	<i>2013</i>
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	4,337	(5,959)	8,341
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი) კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(651)	894	(1,251)
იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვას არ ექვემდებარება			
საიჯარო ქონების გაუმჯობესება და დღგ სხვა	(8) (16)	(41) (6)	(12) –
მომდევნო პერიოდებზე გადატანილი ვადაგასული საგადასახადო ზარალი	(107)	(1,225)	(616)
ცვლილება აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებში	–	104	542
გადასახადით დაუბეგრავი მოგება			
საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდებიდან	427	423	235
საპროცენტო შემოსავალი რეზიდენტ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან	75	42	31
სხვა	15	82	105
მოგების გადასახადის ხარჯი	(265)	273	(966)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

	<i>2012</i>	<i>მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში</i>	<i>2013</i>	<i>მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში</i>	<i>2014</i> <i>(გადაანგარიშებული)</i>	<i>მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში</i>	<i>2015</i>
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი							
მომდევნო პერიოდებზე გადატანილი ზარალი	2,632	(1,379)	1,253	385	1,638	(1,523)	115
სხვა ფინანსური ვალდებულებები	–	51	51	(9)	42	53	95
სხვა აქტივები	(116)	148	32	75	107	50	157
საინვესტიციო ქონება	138	(138)	–	–	–	–	–
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	2,654	(1,318)	1,336	451	1,787	(1,420)	367
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივი	(646)	542	(104)	104	–	–	–
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	2,008	(776)	1,232	555	1,787	(1,420)	367

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

13. გადასახადები (გაგრძელება)

გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი

	2012	მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში	2013	მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში (გადაანგა- რიშებული)	2014 (გადაანგა- რიშებული)	მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში	2015
არამატერიალური აქტივები,							
გუდვილის ჩათვლით	(1,394)	(184)	(1,578)	(138)	(1,716)	(73)	(1,789)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(159)	(145)	(304)	(119)	(423)	1,300	877
შენიშნა-ნაგებობები და							
მოწყობილობები	(43)	34	(9)	33	24	(72)	(48)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	-	-	-	(1)	(1)	1	-
სხვა ფინანსური აქტივები	(4)	58	54	(57)	(3)	(1)	(4)
სხვა ვალდებულებები	(47)	47	-	-	-	-	-
მთლიანი გადავადებული							
საგადასახადო ვალდებულებები	(1,647)	(190)	(1,837)	(282)	(2,119)	1,155	(964)
წმინდა გადავადებული							
საგადასახადო							
აქტივები/(ვალდებულებები)	361	(966)	(605)	273	(332)	(265)	(597)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მიმდინარე საგადასახადო ზარალის მაქსიმუმ მომდევნო ხუთ წელზე გადატანა შესაძლებელია. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომდევნო პერიოდზე გადატანილი 767 ლარის ოდენობის საგადასახადო ზარალის ვადა 2019 წლის 31 დეკემბერს ამოიწურება.

14. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

	2015	2014
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	306	426
ფინანსური აქტივები გაწეული მომსახურებიდან	133	318
ანგარიშსწორებები ფულადი გადარიცხვის ოპერაციებზე	84	140
გარანტიებზე და აკრედიტივებზე დარიცხული პროცენტი	114	45
სხვა დარიცხული აქტივები	37	64
სხვა ფინანსური აქტივები	674	993

306 ლარის ოდენობის (2014 წ.: 335 ლარი) შეზღუდული წვდომის დეპოზიტები მოიცავს ქართულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებზე ბანკის მიერ განთავსებულ ნაშთებს გარანტიის სახით ბანკის კლიენტების მიერ შესრულებული და შესაბამისი კონტრაგენტი ბანკების მიერ დამუშავებული ოპერაციებისთვის. შეზღუდული წვდომის დეპოზიტების ოდენობა ნულს უტოლდება (2014 წ.: 91 ლარი) და მოიცავს ერთ კლიენტთან საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად უცხოურ ბანკში განთავსებულ თანხას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

14. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2015	2014
სვოპ ხელშეკრულებები	3,930	3,976
სადებეტო ან საკრედიტო ბარათით შესრულებულ ოპერაციებზე გადასახდელი თანხები	–	565
ფინანსური ვალდებულებები მიღებული მომსახურებიდან	548	274
კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებისთვის გადასახდელი თანხები	34	33
ანგარიშსწორებები ფულადი გადარიცხვის ოპერაციებზე	370	5
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	1,252	269
სხვა დარიცხული ვალდებულებები	86	120
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,220	5,242

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის, განაკვეთის ან ინდექსის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2015		2014	
	პირობითი თანხა	<i>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები</i>	პირობითი თანხა	<i>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები</i>
სავალუტო ხელშეკრულებები				
სვოპები - შიდა	37,012	3,930	64,430	3,976
სულ წარმოებული ვალდებულებები	37,012	3,930	64,430	3,976

15. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2015	2014
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	19,281	4,636
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	247	401
მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	282	231
უზრუნველყოფის საგნებზე და ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	73	97
სხვა	82	17
სხვა აქტივები	19,965	5,382

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს აქტივს უძრავი ქონების სახით, რომელსაც იძენს ბანკი ვადაგადაცილებული სესხების დაფარვის სანაცვლოდ. ბანკი ახლო მომავალში აპირებს ამ აქტივების გაყიდვას. თუმცა აქტივები არ აკმაყოფილებს გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივების განმარტებას და ისინი კლასიფიცირდება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებად ბასს (IAS) 2-ის „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“ შესაბამისად. ამ აქტივების აღიარება მათი შემენსისა მოხდა თვითღირებულებით და შემდეგ შეფასდა თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

15. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2015	2014
გარანტიებისა და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ანარიცხები	181	-
დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნის მყიდველებისგან მიღებული ავანსები	103	78
საგადასახადო დავალიანება	64	14
სხვა ვალდებულებები	348	92

16. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

	2015	2014
სესხები ფინანსური დაწესებულებებისგან	46,291	33,388
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებიდან	12,642	2,000
მოკლევადიანი განთავსებები სხვა ბანკებში	3,337	-
	62,270	35,388

ფინანსური ორგანიზაციებისგან მიღებულ სესხებში შედის სესხ-ისგან 2015 წლის 31 დეკემბერს მიღებული სესხი 25,000 ლარის ოდენობით, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი 9.2%-ია, ხოლო ვადა - 2015 წლის 8 იანვრამდე. სესხი გამოხატულია ლარში.

ბანკს აქვს 5,000 ათასი აშშ დოლარის (11,974 ლარის ეკვივალენტი) კრედიტი, აღებული შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისგან. ხელმისაწვდომი 11,974 ლარიდან (2014 წ.: 9,318 ლარი), 2015 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკს ათვისებული აქვს 9,101 ლარის ეკვივალენტური თანხა (2014 წ.: 3,286 ლარი), რომლის საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთიც 6.34%-ია. კრედიტს ვადა 2016 წელს ეწურება.

გარდა ამისა, ბანკმა 2015 წლის 8 ოქტომბერს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისგან 5,000 აშშ დოლარი (11,974 ლარი) ისესხა 5.5%-ს დამატებული ლიბორის განაკვეთით (ჯამური 5.98% 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). სესხი გამოხატულია აშშ დოლარში და დაფარვის ვადა მოუღის 2018 წელს.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისგან ნასესხები სახსრები მიიღება გარკვეული პირობებით („საკრედიტო ხელშეკრულების პირობები“), რომლებიც ბანკმა აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკს დარღვეული ჰქონდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისგან მიღებული ნასესხები სახსრების შესახებ საკრედიტო ხელშეკრულების 1 პირობა (10 პირობიდან). ბანკმა დაარღვია მიმდინარე კრედიტის მოცულობის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (მაქს. 25%, ფაქტობრივი 33,62%). პირობის დარღვევის მიზეზი გახდა გაცემული კრედიტების მოცულობის ზრდა. ამ პირობის მიზნებისთვის, მიმდინარე კრედიტის მოცულობა, სხვებთან ერთად, შეიცავდა იმ სესხების მთლიან თანხასაც, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასდა გაუფასურებულად. სალომბარდო სესხები, რომლებსაც თაღლითობა შეეხო (მე-5 შენიშვნა), ბანკმა ინდივიდუალურად შეაფასა და შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ მიმდინარე კრედიტის მოცულობის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი აღემატებოდა ნებადართულ მაქსიმუმს, 25%-ს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკისგან აღნიშნულზე არ მიუღია წერილობითი ნებართვა.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებისგან მიღებული ვადიანი ანაზრები წარმოდგენილია საქართველოს ბანკისგან მიღებული 2,000,000 აშშ დოლარის (4,790 ლარი) მოკლევადიანი ანაზრით, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთიც 2.9%-ია და 3,000,000 ევროს (7,852 ლარი) მოკლევადიანი ანაზრით, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთიც 2.0%-ია.

2015 წელს ბანკმა სულ 2,874 ლარის საპროცენტო ხარჯი აღიარა საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებებზე (2014 წ.: 2,476 ლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას ლარში)

17. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს შემდეგს:

	<i>2015</i>	<i>2014</i>
მიმდინარე ანგარიშები	196,207	158,283
ვადიანი ანაზრები	254,561	181,686
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	450,768	339,969
გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივების უზრუნველყოფა	7,901	13,341

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მიმართ ვალდებულებები 182,870 ლარის (40.6%) ოდენობით ათ უმსხვილეს მენაზრეზე (2014 წ.: 178,745 ლარი (52.6%)) მოდიოდა.

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს შემდეგი ტიპის კლიენტებს:

	<i>2015</i>	<i>2014</i>
კერძო საწარმოები	226,846	187,962
ფიზიკური პირები	126,031	93,971
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	97,891	58,036
კლიენტთა ანგარიშები	450,768	339,969

კლიენტების მიმართ ვალდებულებების ანალიზი ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	<i>2015</i>		<i>2014</i>	
	<i>თანხა</i>	<i>%</i>	<i>თანხა</i>	<i>%</i>
ფიზიკური პირები	126,031	27.96	93,971	27.64
ვაჭრობა და მომსახურება	44,278	9.82	15,461	4.55
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	33,410	7.41	37,955	11.17
არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები	25,623	5.68	4,851	1.43
ენერგეტიკა	25,316	5.62	55,540	16.34
დაზღვევა	16,209	3.6	11,493	3.38
მშენებლობა	13,582	3.01	22,806	6.71
სამთო მრეწველობა	3,001	0.67	219	0.06
ფინანსური დაწესებულებები	2,313	0.51	7	0
სოფლის მეურნეობა	2,042	0.45	321	0.09
წარმოება	1,225	0.27	1,025	0.3
ჯანმრთელობის დაზღვევა	910	0.2	1	0
არაკომერციული ორგანიზაციები	-	-	8,911	2.62
სხვა	58,937	13.07	29,372	8.64
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	97,891	21.73	58,036	17.07
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	450,768	100.00	339,969	100.00

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

18. სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული ვალი მოიცავს შემდეგს:

	2015	2014
შპს „სტანდარტ კაპიტალ საქართველო“ (გამოხატული აშშ დოლარში, გაცემული 2005 წლის 29 სექტემბერს; 2016 წლიდან 10 ყოველწლიური თანაბარი შენატანით და პროცენტის ყოველთვიური გადახდით, წლიური 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით, დასაფარია 2025 წლის 15 სექტემბრამდე)	7,222	5,620
შპს „სტანდარტ კაპიტალ საქართველო“ (გამოხატული აშშ დოლარში, გაცემული 2006 წლის 15 დეკემბერს; 2017 წლიდან 10 ყოველწლიური თანაბარი შენატანით და პროცენტის ყოველთვიური გადახდით, წლიური 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით, დასაფარია 2026 წლის 15 დეკემბრამდე)	4,833	3,761
შპს „ალ დაბი კონტრაქტიინგი“ (გამოხატული აშშ დოლარში, გაცემული 2014 წლის 31 დეკემბერს, წლიური 6%-იანი საპროცენტო განაკვეთით, დასაფარია 2022 წლის 1 აპრილამდე)	23,957	18,639
სუბორდინირებული ვალი	36,012	28,020

ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული ვალი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის გასტუმრების შემდეგ.

19. კაპიტალი

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად განაღდებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,110,000 ჰვეულბრივი აქციას (2014 წ.: 995,159 აქცია). თითოეული ჰვეულბრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.1 ლარი (2014 წ.: 0.1 ლარი). თითოეული ჰვეულბრივი აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. 2015 წელს ბანკმა გამოუშვა 11,484 ლარის ნომინალური ღირებულების საწესდებო კაპიტალი, რომელიც პროპორციულად გადანაწილდა აქციონერებზე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გამოცხადდეს ბანკის აქციონერებისთვის წმინდა მოგებიდან, რომელიც მოცემულია ბანკის მიერ ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა ეცნობოს დივიდენდების გამოცხადების შესახებ. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს შეაჩეროს ან შეზღუდოს დივიდენდების გამოცხადება, თუ კომერციულ ბანკს დარღვეული აქვს სებ-ის ნორმატიული მოთხოვნები.

2015 და 2014 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

20. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	<i>2015</i>	<i>2014</i>
საკრედიტო ვალდებულებები		
გარანტიები	18,783	18,853
აკრედიტივები	2,350	1,321
	21,133	20,174
გამოკლებული: გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული	(7,901)	(13,341)
გარანტიებისა და აკრედიტივების წმინდა ოდენობა	13,232	6,833
გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები	16,518	13,153
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
არაუგვიანეს 1 წლისა	1,519	1,752
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	2,699	4,027
5 წელზე გვიან	357	950
	4,575	6,729
პირობითი ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან	–	662

21. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<i>2015</i>	<i>2014</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები	52,548	40,521
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ და სავალდებულო რეზერვი სებ-ში	2,274	3,700
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,797	2,818
სულ საპროცენტო შემოსავალი	57,619	47,039
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	24,631	19,748
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,874	2,476
სუბორდინირებული ვალი	2,611	971
სულ საპროცენტო ხარჯი	30,116	23,195
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	27,503	23,844

22. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

საკომისიო შემოსავალი მოიცავდა შემდეგს:

	<i>2015</i>	<i>2014</i>
პლასტიკური ბარათებით შესრულებული ოპერაციები	1,588	1,491
ანგარიშსწორების ოპერაციები	1,053	943
ფულადი ოპერაციები	1,047	689
მიმდინარე ანგარიშების მომსახურება	579	476
გაცემული გარანტიები და აკრედიტივები	346	305
სხვა	103	52
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	4,716	3,956

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

22. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი (გაგრძელება)

საკომისიო ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	2015	2014
პლასტიკური ბარათებით შესრულებული ოპერაციები	1,508	975
ანგარიშსწორების ოპერაციები	342	264
ფულადი ოპერაციები	214	56
გარანტიები და აკრედიტივები	89	–
სხვა	250	270
საკომისიო ხარჯი	2,403	1,565
წმინდა საკომისიო შემოსავალი	2,313	2,391

23. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2015	2014
შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის საოპერაციო იჯარის ხარჯი	2,047	2,050
პროფესიული მომსახურება	1,217	953
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	929	236
წარმომადგენლობითი ხარჯები	489	329
დასაკუთრებული უზრუნველყოფის გასხვისების შედეგად მიღებული ზარალი	410	744
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	361	414
საკომუნიკაციო მომსახურება	343	369
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	336	228
შენობის დაცვის ხარჯი	320	419
საოფისე ინვენტარი	285	318
ტრანსპორტირება და ინკასაცია	275	226
დაზღვევა	152	93
პლასტიკური ბარათით შესრულებული ოპერაციების ხარჯები	97	60
ავტოტრანსპორტზე გაწეული ხარჯი	91	150
სამივლინებო ხარჯები	55	58
ძირითადი საშუალებების გასხვისებასთან დაკავშირებული ზარალი	46	243
საფოსტო მომსახურების ხარჯები	40	26
სხვა ხარჯები	318	170
სხვა საოპერაციო ხარჯები	7,811	7,086

24. რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციის გატარება ბანკში ხდება საკრედიტო, ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებაში. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი). ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ რისკი დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკის ბანკს ექმნება კონტრაპტენტებთან მისი საკრედიტო და სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას.

ბანკი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზადაა ბანკმა მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე ან მსესხებლების ჯგუფზე ან დარგობრივ სეგმენტზე.

ბანკმა ცალკეული მსესხებლებისათვის საკრედიტო ლიმიტების დასამტკიცებლად საკრედიტო კომიტეტების სამი დონე შექმნა: თითოეული საკრედიტო კომიტეტის განხილვისა და დამტკიცების ლიმიტები განსხვავდება სესხის ტიპის მიხედვით. ფილიალის დონეზე მხოლოდ მაქსიმუმ 17 ლარის თანხის ავტორიზებული საცალო სესხები (სახელფასო/საკრედიტო ბარათი/ოვერდრაფტი) გაიცემა.

სასესხო განაცხადებს აფორმებენ კლიენტებთან ურთიერთობის შესაბამისი მენეჯერების და შემდეგ გადასცემენ შესაბამის საკრედიტო კომიტეტს საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად.

საკრედიტო რისკის გაკონტროლების მიზნით, პორტფელის ანალიზის მენეჯერი რეგულარულ ანგარიშებს ამზადებს, რომლებსაც საკრედიტო რისკის დეპარტამენტი განიხილავს. მონიტორინგი გულისხმობს კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შემოწმებას. ქვემოთ წარმოგიდგენთ ბანკის ფინანსური აქტივების ანალიზს:

	შენიშვნა	<i>არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული</i>				ინდივიდუალურად გაუფასურებული, 2015	სულ 2015
		მალალი შეფასება 2015	სტანდარტული შეფასება 2015	სტანდარტულზე დაბალი შეფასება 2015	ვადგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული 2015		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (გარდა სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისა)		51,293	-	-	-	-	51,293
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		44,052	-	-	-	-	44,052
კლიენტებზე გაცემული სესხები	8						
კორპორატიული სესხები		4,073	85,050	18,561	1,612	15,052	124,348
სალომზარდო სესხები		133,811	-	7,182	806	31,799	173,598
სამომხმარებლო სესხები		3,454	16,904	50,769	4,276	123	75,526
იპოთეკური სესხები		-	37,269	420	2,370	214	40,273
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები		-	42,399	1,549	4,445	552	48,945
		141,338	181,622	78,481	13,509	47,740	462,690
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	24,141	-	-	-	-	24,141
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: სესხები და მისაღები ანგარიშები		9,808	-	-	-	-	9,808
სხვა ფინანსური აქტივები	14	525	-	-	149	-	674
სულ		271,157	181,622	78,481	13,658	47,740	592,658

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	შენიშვნა	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული			ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული 2014	ინდივიდუალურად გაუფასურებული, 2014	სულ 2014
		მაღალი / შეფასება 2014	სტანდარტული შეფასება 2014	სტანდარტულზე დაბალი შეფასება 2014			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (გარდა სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისა)		48,623	-	-	-	-	48,623
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		31,222	-	-	-	-	31,222
კლიენტებზე გაცემული სესხები	8						
კორპორატიული სესხები		2,964	37,317	7,189	12,331	14,281	74,082
სალომბარდო სესხები		128,163	-	400	451	20,257	149,271
სამომხმარებლო სესხები		5,890	8,104	45,741	1,231	3,462	64,428
იპოთეკური სესხები		-	15,558	260	2,423	1,529	19,770
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები		-	11,592	948	1,196	3,291	17,027
		137,017	72,571	54,538	17,632	42,820	324,578
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	46,180	-	-	-	-	46,180
სხვა ფინანსური აქტივები	14	675	-	-	318	-	993
		46,855	-	-	318	-	47,173
სულ		263,717	72,571	54,538	17,950	42,820	451,596

ქვემოთ მოცემულია ვადაგადაცილებული სესხების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების უმრავლესობა არ ითვლება გაუფასურებულად მათი მაღალი ხარისხისა და საკმარისი უზრუნველყოფის გამო.

ბანკის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ასეთია:

- ▶ ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია დეპოზიტით ან ძვირფასი ლითონებით განეკუთვნება მაღალი შეფასების კატეგორიას; ბანკი სეზ-ში სავალდებულო რეზერვებს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქებსა და ობლიგაციებს და სეზ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატებსაც მაღალი შეფასების ფინანსურ აქტივებს მიაკუთვნებს.
- ▶ ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით განეკუთვნება სტანდარტული შეფასების კატეგორიას.
- ▶ ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია სხვა ტიპის აქტივით, განეკუთვნება ქვესტანდარტული შეფასების კატეგორიას

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

	<i>30 დღეზე ნაკლები 2015</i>	<i>31 დღიდან 60 დღემდე 2015</i>	<i>61 დღიდან 90 დღემდე 2015</i>	<i>90 დღეზე მეტი 2015</i>	<i>სულ 2015</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები					
კორპორატიული სესხები	616	56	–	940	1,612
სამომხმარებლო სესხები	1,759	449	174	1,894	4,276
იპოთეკური სესხები	378	268	822	902	2,370
სალომბარდო სესხები	806	–	–	–	806
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები	935	254	180	3,076	4,445
სულ	4,494	1,027	1,176	6,812	13,509
	<i>30 დღეზე ნაკლები 2014</i>	<i>31 დღიდან 60 დღემდე 2014</i>	<i>61 დღიდან 90 დღემდე 2014</i>	<i>90 დღეზე მეტი 2014</i>	<i>სულ 2014</i>
კლიენტებზე გაცემული სესხები					
კორპორატიული სესხები	12,063	–	7	261	12,331
სამომხმარებლო სესხები	916	54	118	143	1,231
იპოთეკური სესხები	1,402	132	–	889	2,423
სალომბარდო სესხები (გადაანგარიშებული)	451	–	–	–	451
ინდ.მეწარმეებზე გაცემული სესხები	601	88	89	418	1,196
სულ	15,433	274	214	1,711	17,632

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 შენიშვნა. საკრედიტო რისკი გარეზალანსური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იმავე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც ბალანსური ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

გაუფასურების შეფასება

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტი ვადით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის მიმდინარე სირთულეს კონტრაგენტის ფულადი სახსრების მიმოქცევაში, კრედიტუნარიანობის გაუარესებას და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას ბანკი ახორციელებს ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული რეზერვების მიხედვით.

ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ბანკი ადგენს შესაფერის რეზერვს. რეზერვის ოდენობის განსაზღვრისას უზრუნველყოფის საგნის სარეალიზაციო ღირებულების გათვალისწინებაც ხდება. გაუფასურების ზარალი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ მიიქცევა ყურადღებას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

გაუფასურების რეზერვის კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი (მათ შორის საკრედიტო ბარათები, იპოთეკა და უზრუნველყოფის არმქონე სამომხმარებლო სესხები) ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების რეზერვი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც წარმოდგენილია პორტფელში მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ ჩანს. გაუფასურების ზარალი განისაზღვრება პორტფელის ისტორიული დანაკარგების გათვალისწინებით.

ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების შეფასება და მათი ანარიცხების განსაზღვრა ხდება სესხების ანალოგიურად.

ბანკის ფულადი აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2015				2014			
	საქართველო	გეთა	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ	საქართველო	გეთა	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	50,812	30,624	453	81,889	66,176	5,257	432	71,865
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	44,052	-	-	44,052	31,222	-	-	31,222
კლიენტებზე გაცემული სესხები	436,584	-	-	436,584	301,670	-	-	301,670
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:								
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	24,141	-	-	24,141	46,180	-	-	46,180
- სესხები და მისაღები ანგარიშები	9,808	-	-	9,808	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	674	-	-	674	902	91	-	993
	566,071	30,624	453	597,148	446,150	5,348	432	451,930
ვალდებულებები								
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	40,986	21,284	-	62,270	32,004	3,384	-	35,388
კლიენტთა ანგარიშები სხვა ფინანსური ვალდებულებები	417,490	157	33,121	450,768	335,711	73	4,185	339,969
სუბორდინირებული ვალი	6,175	45	-	6,220	5,198	44	-	5,242
	12,055	23,957	-	36,012	9,381	18,639	-	28,020
	476,706	45,443	33,121	555,270	382,294	22,140	4,185	408,619
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	89,365	(14,819)	(32,668)	41,878	63,856	(16,792)	(3,753)	43,311

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის მოსვლის შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური დაწესებულებების მართვისთვის.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოძრაობის შეფასებით, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო აწესებენ ლიმიტებს დასაფარი თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაბრებიდან თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორისი და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელიც უნდა ეყოს თანხაზე მოთხოვნას როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ ვითარებაში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

ბანკის ლიკვიდურობის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- ▶ ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- ▶ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან ბანკის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- ▶ მაღალი ლიკვიდურობის და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- ▶ პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედებში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ▶ ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- ▶ დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

ბანკის სახაზინო განყოფილებას შემდეგი პასუხისმგებლობა აკისრია:

- ▶ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდურობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
- ▶ ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ, ასევე სალაროს ნაშთისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცვლილებების შესახებ;
- ▶ ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- ▶ დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- ▶ ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის ქონა, რათა სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ბანკი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სებ-ის მოთხოვნით, მინიმალური საშუალო თვიური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 30% უნდა იყოს. 31 დეკემბრის მდგომარეობით დღიური კოეფიციენტები იყო:

	2015 წ., %	2014, %
წლის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	32.43%	33.87%
მაქსიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	34.75%	39.28%
მინიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	29.85%	30.66%

2015 წლისთვის ბანკის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ლიკვიდურობის შესახებ სებ-ის დებულების თანახმად, შეადგენს 32.43%-ს (2014 წ.: 33.87%), რაც მინიმალურ 30%-იან მოთხოვნაზე მაღალია.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახაზინო განყოფილების მიერ ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის ჯეროვნად მართვა. რისკის მართვის განყოფილებას ევალება ამ საქმიანობათა გაკონტროლება. ლიკვიდურობის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი იღებს.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში:

<i>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>30 დღეზე 3 თვეზე</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	62,415	-	-	-	62,415
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	263,147	148,884	57,264	133	469,428
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,220	-	-	-	6,220
სუბორდინირებული ვალი	774	2,066	11,018	44,586	58,444
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	332,556	150,950	68,282	44,719	596,507
<i>2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>30 დღეზე 3 თვეზე</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	32,878	2,669	-	-	35,547
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	211,822	124,337	10,592	54	346,805
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,242	-	-	-	5,242
სუბორდინირებული ვალი	506	1,328	7,083	35,073	43,990
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	250,448	128,334	17,675	35,127	431,584

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოყენებული სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის გამოთხოვნა.

	30 დღეზე				სულ
	3 თვეზე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
2015	22,583	11,303	7,983	357	42,226
2014	16,247	9,531	13,990	950	40,718

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

საბაზრო რისკი

ბანკს ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკები წარმოიშობა სავალუტო პროდუქტების ღია პოზიციების გამო, რომლებიც დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე. ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა იცავს კოეფიციენტების თაობაზე სებ-ის პრუდენციულ მოთხოვნებს. ამ ლიმიტების მონიტორინგი ყოველდღიურად წარმოებს. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის მცოცავი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება მხოლოდ ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული 12,142 ლარის ოდენობის სესხები (2014 წ.: 3,378 ლარი) (მე-16 შენიშვნა). საპროცენტო განაკვეთების ერთი პროცენტით გაზრდა/შემცირება, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივი დარჩება, გამოიწვევს ბანკის დასაბეგრი მოგების შემცირებას/გაზრდას 120 ლარით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. დირექტორთა საბჭოს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც გამოხატულ არაკომერციულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე ბანკს 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზის დროს ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ვალუტა	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2015	ეფექტი დასაბეგრი მოგებაზე 2015	სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება 2014	ეფექტი დასაბეგრი მოგებაზე 2014
აშშ დოლარი	15%/-15%	1,179/(1,179)	3.77%/-3.77%	83.6/(83.6)
ევრო	16%/-16%	37/(37)	1.76%/-1.76%	(0.4)/0.4

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ბანკი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლის სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

25. სამართლიანი ღირებულების შეფასება

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ბანკი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენის მიზნით, ბანკმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე:

<i>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>სამართლიანი ღირებულების შეფასება:</i>			
	<i>(1-ლი დონე)</i>	<i>(მე-2 დონე)</i>	<i>(მე-3 დონე)</i>	<i>სულ</i>
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81,889	-	-	81,889
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	44,052	-	-	44,052
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	436,116	436,116
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები				
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	-	22,761	-	22,761
- სესხები და მისაღები ანგარიშები	-	9,605	-	9,605
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	674	674
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (2015 წლის 31 დეკემბრის შეფასებით)	-	3,930	-	3,930
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	-	61,863	61,863
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	-	-	450,444	450,444
სუბორდინირებული ვალი	-	-	38,901	38,901
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	6,220	6,220

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

25. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

<i>2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>სამართლიანი ღირებულების შეფასება:</i>			
	<i>(1-ლი დონე)</i>	<i>(მე-2 დონე)</i>	<i>(მე-3 დონე)</i>	<i>სულ</i>
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	71,865	–	–	71,865
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	31,222	–	–	31,222
კლიენტებზე გაცემული სესხები	–	–	301,393	301,393
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	–	46,180	–	46,180
სხვა ფინანსური აქტივები	–	–	993	993
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (2014 წლის 31 დეკემბრის შეფასებით)	–	3,976	–	3,976
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	–	–	35,388	35,388
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	–	–	339,969	339,969
სუბორდინირებული ვალი	–	–	32,894	32,894
სხვა ფინანსური ვალდებულებები	–	–	5,242	5,242

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებებს.

	<i>საბალანსო ღირებულება 2015</i>	<i>სამართლიანი ღირებულება 2015</i>	<i>აუღიარებელი მოგება/ (ზარალი) 2015</i>	<i>საბალანსო ღირებულება 2014</i>	<i>სამართლიანი ღირებულება 2014</i>	<i>აუღიარებელი მოგება/ (ზარალი) 2014</i>
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81,889	81,889	–	71,865	71,865	–
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	44,052	44,052	–	31,222	31,222	–
კლიენტებზე გაცემული სესხები	436,584	436,116	(468)	301,670	301,393	(277)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:						
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	24,141	22,761	(1,380)	46,180	46,180	–
- სესხები და მისაღები ანგარიშები	9,808	9,605	(203)	–	–	–
სხვა ფინანსური აქტივები	674	674	–	993	993	–
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	62,270	61,863	407	35,388	35,388	–
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	450,768	450,444	324	339,969	339,969	–
სუბორდინირებული ვალი	36,012	38,901	(2,889)	28,020	32,894	(4,874)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,220	6,220	–	5,242	5,242	–
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			(4,209)			(5,151)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

25. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

ბანკის დაშვებით, დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ სამართლიან ღირებულებას იმ ფაქტის გამო, რომ ასეთი ინსტრუმენტების მეორადი ბაზარი არ არსებობს და მათი გასხვისების შესაძლებლობის განხილვა უსაფუძვლოა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სებ-ი ქართულ კომერციულ ბანკებს უფლებას აძლევს, აიღონ სესხები ნომინალური ღირებულების 95%-ის ოდენობით, ამ ფასიანი ქაღალდების დაგირავებით.

გრძელვადიანი საკრედიტო ხაზების ანალიზის საფუძველზე ბანკი მიიჩნევს, რომ სუბორდინირებული სესხების პირობები შეესაბამება არსებულ საბაზრო დიაპაზონს.

წარმოებული ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, წარმოადგენს სავალუტო სვოპ კონტრაქტებს. იმის გამო, რომ კონტრაქტების ვადა ერთ წელზე ნაკლებია, ბანკი იყენებს სავალუტო სპოტ კურსებს საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა გამოითვალოს ასეთი კონტრაქტების სამართლიანი ღირებულება.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

არაკოტირებული სასესხო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

26. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ბანკი გაქვითავს 25,585 ლარს (2014 წ.: 60,453 ლარი) წარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული წარმოებული ფინანსური ვალდებულებების წმინდა თანხა 3,930 ლარია (2014 წ.: 3,976 ლარი).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაქვითვა ფინანსური ვალდებულებების მიმართ:

<i>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაქვითული აღიარებული ფინანსური აქტივების მთლიანი ოდენობა</i>	<i>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაქვითული აღიარებული ფინანსური ვალდებულებების მთლიანი ოდენობა</i>	<i>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების წმინდა ოდენობა</i>
2015		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები (მე-14 შენიშვნა)	25,585	3,930

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

26. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა (გაგრძელება)

	<i>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაქვითული აღიარებული ფინანსური აქტივების მთლიანი ოდენობა</i>	<i>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაქვითული აღიარებული ფინანსური ვალდებულებების მთლიანი ოდენობა</i>	<i>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების წმინდა ოდენობა</i>
2014			.
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები (მე-14 შენიშვნა)	60,453	64,429	3,976

27. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის უნდა მოხდეს ხელშეკრულების მიხედვით მათი ამოღება ან დაფარვა. ბანკის საკონტრაქტო არადისკონტრირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ 24-ე შენიშვნა - „რისკის მართვა“.

	<i>2015</i>			<i>2014</i>		
	<i>ერთი წლის განმავლობაში</i>	<i>ერთ წელზე მეტ ვადაში</i>	<i>სულ</i>	<i>ერთი წლის განმავლობაში</i>	<i>ერთ წელზე მეტ ვადაში</i>	<i>სულ</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81,889	–	81,889	71,865	–	71,865
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	44,052	–	44,052	31,222	–	31,222
კლიენტებზე გაცემული სესხები	257,282	179,302	436,584	204,712	96,958	301,670
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:						
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	13,195	10,946	24,141	22,659	23,521	46,180
- სესხები და მისაღები ანგარიშები	–	9,808	9,808	–	–	–
სხვა ფინანსური აქტივები	368	306	674	658	335	993
სულ	396,786	200,362	597,148	331,116	120,814	451,930
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	62,270	–	62,270	35,388	–	35,388
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	376,825	73,943	450,768	330,236	9,733	339,969
სუბორდინირებული ვალი	86	35,926	36,012	64	27,956	28,020
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,220	–	6,220	5,242	–	5,242
სულ	445,401	109,869	555,270	370,930	37,689	408,619
წმინდა	(48,615)	90,493	41,878	(39,814)	83,125	43,311

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

27. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

ბანკის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე.

საკრედიტო ხელშეკრულების პირობის (ათი პირობიდან ერთის) დარღვევის გამო, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიმართ არსებული დავალიანება (16 შენიშვნა) მიეკუთვნა მოთხოვნამდე კრედიტის კატეგორიას, თუმცა წინამდებარე აუდიტის ანგარიში გამოშვების თარიღისთვის, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს არ მოუთხოვია აღნიშნული კრედიტის ნაადრევი დაფარვა.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების მიმართ ვალდებულებებში მიმდინარე ანგარიშების მთლიანი თანხა 225,547 ლარს შეადგენდა (2014 წ.: 158,283 ლარი). ბანკი ყოველთვიურად ატარებს კლიენტების მიმართ ვალდებულებებში მიმდინარე ანგარიშების ნაწილის სტაბილურობის ანალიზს წინა ორი წლის პერიოდისთვის. წინა ორი წლის ყოველი თვის ბოლოს მიმდინარე ანგარიშების ნაშთები არ ყოფილა 154,247 ლარზე ნაკლები (2014 წ.: 116,865 ლარი). მთლიანი მიმდინარე ანგარიშების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს პროცენტური კორპორატიული მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც, როგორც წესი, გრძელვადიანია. შესაბამისად, ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის დასადგენად გონივრულია ამ თანხების ასახვა კლიენტების მიმართ ვალდებულებებში ერთ წელზე მეტი ვადით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები 2016-2020 წლამდე დაფარვის ვადით და 32,657 ლარის ნომინალური ღირებულებით, რომელთა დაგირავებაც შეიძლება სებ-ის მიმართ რეფინანსირების მიზნებისთვის 5%-იანი დისკონტით (წარმოქმნის 31,024 ლარს).

სებ-ის დადგენილების თანახმად, თვიური საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები. 2015 და 2014 წლების განმავლობაში ბანკი აკმაყოფილებდა ლიკვიდურობის კოეფიციენტებთან დაკავშირებით სებ-ის პრუდენციულ მოთხოვნებს. ბანკის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2015 წელს 32.43%-ს შეადგენდა. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 24-ე შენიშვნა „ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა“.

28. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც არ დადებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

28. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი მოგება და ხარჯი წლის განმავლობაში ასეთია:

	2015			2014		
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული შენიშვნა	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული შენიშვნა	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	სხვა დაკავშირებული მხარეები
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	-	345	-	-	257	-
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	4,478	447	-	2,615	25	-
სუბორდინირებული ვალი	18	23,957	-	18,639	-	-
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	-	31	-	1	5	-
საპროცენტო ხარჯი ანაბრებზე	159	19	-	29	-	-
სუბორდინირებული ვალის საპროცენტო ხარჯი	21	1,361	-	-	-	-

2015 წელს ბანკმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს გადასცა 2,351 ლარის აკრედიტივი (2014 წ.: 1,323 ლარი).

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელი პირების მიერ გამოუყენებელი სესხები შეადგენდა 14 ლარს (2014 წ.: 6 ლარი).

2015 წლის 31 დეკემბრისთვის ძირითადი ხელმძღვანელობა 6 პირით იყო წარმოდგენილი (2014 წ.: 5). ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, რომელიც შედგებოდა ხელფასებისა და მოკლევადიანი გასამრჯელოებისგან, 2015 წელს 1,751 ლარს გაუტოლდა (2014 წ.: 1,169 ლარი), საიდანაც 610 ლარი 2015 წელს დარიცხული ვალდებულებაა.

29. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია (i) იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკი აკმაყოფილებს სებ-ის მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით, (ii) იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკმა შეძლოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა, და შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და რომელსაც ხელს აწერს ბანკის გენერალური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი, რის შემდეგაც საანგარიშო მოხსენება იგზავნება სებ-ში.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ბანკმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებიდან ბანკის მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

29. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

შემდგომ პერიოდში, 2016 წლის აპრილში, ბანკმა დაარღვია დადგენილი მოთხოვნები საზედამხედველო კაპიტალის მიმართ, აღმოჩენილი თაღლითობის შეთხვევით გამოწვეული ზარალის გამო (მე-5 შენიშვნა), რაც აღირიცხა 2016 წლის აპრილში სეზ-ის ანგარიშგების მიზნებისთვის. თაღლითობასთან დაკავშირებული ზარალის შედეგად, 2016 წლის 30 აპრილს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობამ 8.06% შეადგინა, რაც სეზ-ის მიერ მოთხოვნილ 8.5%-ზე ნაკლებია. დანაკლისის შესავსებად, ბანკს დამატებით 3,360 ლარის კაპიტალი სჭირდება. ბანკმა მიიღო წერილობითი ნებართვა სეზ-ისგან, რომლითაც ბანკს მიენიჭა უფრო დაბალი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებით ოპერირების უფლება 2016 წლის 31 ოქტომბრამდე. ხელმძღვანელობის აზრით ბანკი შეძლებს წერილობითი ნებართვით გათვალისწინებულ თარიღამდე დანაკლისის შევსებას ბანკის მიერვე წარმოქმნილი მოგებით. 2016 წლის 31 მაისის მდგომარეობით, ბანკმა 2016 წლის 30 აპრილიდან 0.09%-ით შეამცირა კაპიტალის ადეკვატურობის დანაკლისი. თუ ბანკის ოპერაციები არ წარმოქმნის საკმარის მოგებას წერილობითი ნებართვით გათვალისწინებულ თარიღამდე, ბანკი შეძლებს კაპიტალის ადეკვატურობის გაზრდას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულებისგან მიღებული გარკვეული სესხების გარდაქმნით საკუთარ კაპიტალად. ხელმძღვანელობის აზრით, ბანკის საკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერებს აქვთ საკმარისი რესურსი და სურვილი, რომ საჭიროების შეთხვევაში გარდაქმნან 2015 წლის 31 დეკემბრისთვის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების მიმართ არსებული 23,957 ლარის ვალის ნაწილი საკუთარ კაპიტალად, რომ აღმოფხვრას ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის უკმარისობა.

სეზ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სეზ-ის მოთხოვნით, კომერციულმა ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 11.4%-ის ოდენობით და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 7.6%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება ბანკის დამოუკიდებელი, სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მზადდება სეზ-ის დებულებებისა და აქტების შესაბამისად. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო:

	2015	2014
ძირითადი კაპიტალი	64,135	60,880
დამატებითი კაპიტალი	48,359	23,072
გამოკლებული: გამოქვითვები კაპიტალიდან	-	-
სულ საზედამხედველო კაპიტალი	112,494	83,952
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	716,892	554,456
მეორადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	15.69%	15.14%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	8.95%	10.98%

2014 წლის 30 ივნისიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას ყველა ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს ბაზელ 2-ის რეგულაციები. ეს ნიშნავს, რომ მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი არანაკლებ 10.50%-ისა უნდა იყოს, ხოლო პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - არანაკლებ 8.50%-ისა. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ 2-ის მიხედვით იყო:

	2015	2014
ძირითადი კაპიტალი	71,626	52,131
დამატებითი კაპიტალი	41,613	31,821
სულ საზედამხედველო კაპიტალი	113,239	83,952
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	785,320	570,994
მეორადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	14.42%	14.70%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	9.12%	9.13%

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „კორ სტანდარტ ბანკი“ 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

30. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

საფირმო სახელწოდების შეცვლა

2016 წლის მაისში ბანკმა დაასრულა რებრენდინგის პროცესი და საფირმო სახელწოდება „ტერაბანკით“ შეცვალა. ამაზე გავლენა იქონია ერთ წელზე მეტი ხნის წინ ბიზნეს სტრატეგიის შეცვლამ, რომლის მიზანიც კლიენტებისთვის განსხვავებული ატმოსფეროსა და მომსახურების სტანდარტების შეთავაზება იყო. ტერაბანკის ბრენდი შეიქმნა იმისთვის, რომ მასში ასახულიყო ამ პროცესში მომხდარი ყველა ცვლილება. ტერაბანკი, რომლის საქმიანობასაც მცირე და საშუალო მეწარმეების, ბანკის დამფუძნებლებისა და თანამშრომლების ინტერესებს ემსახურება, იქნება მომხმარებლებზე ორიენტირებული, ნიშური ბანკი, რომელიც კლიენტებს უმაღლესი დონის მომსახურებას შესთავაზებს. ახალი ბრენდის მიზანია იყოს გამორჩეული, განსხვავებული დანარჩენი ბაზრისგან.

ტერაბანკის ფუნქციური პოზიციონირება დაეყრდნო ბანკის იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც მას უკვე აქვს ან რომელთა გამომუშავების პროცესშიც არის. ესენია მოქნილობა, ინდივიდუალური მომსახურება და გადაწყვეტები, ხოლო ემოციური პოზიციონირება დაეყრდნო ისეთ კონცეფციებს, როგორცაა „ფინანსური სახლი“, რაც გულისხმობს ისეთ ადგილს და კომუნიკაციის სტილს, რომელიც არის პირად ურთიერთობებზე აგებული, ახლო, გულითადი და ისეთი კომფორტული კლიენტისთვის, რომ ის თავს მართლაც შინ იგრძნობს.

თანამშრომლის მიერ ჩადენილი თაღლითობის გამოვლენა

2016 წელს გამოვლინდა ბანკის თანამშრომლის მიერ ჩადენილი თაღლითური ქმედება კერძოდ, რიგი სალომბარდო სესხების შემთხვევაში, მიღებული უზრუნველყოფის საგნის ღირებულება რეალურზე მეტით იყო აღრიცხული, რის გამოც სესხების უზრუნველყოფა არ აღმოჩნდა საკმარისი.

ბანკმა დაიქირავა დამოუკიდებელი გარე შემფასებელი ყველა პოტენციურად საეჭვო უზრუნველყოფის საგნის შესამოწმებლად და გადასაფასებლად. ამჟამად მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება თაღლითობის ფაქტზე ყოფილი თანამშრომლის მიმართ. შიდა და გარე ექსპერტებმა განსაზღვრეს ამ მოვლენების დადგომის სავარაუდო დრო, ამიტომ 2014 და 2015 წლების ფინანსურ ანგარიშგებში ხელახლა დაანგარიშდა სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები. შესაბამისად, 2014 ფინანსური წლის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი დაკორექტირდა, რამაც განაპირობა ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება (მე-5 შენიშვნა).